



საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში

არასათანადო მოპყრობის სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების ეფექტიანობა

მომზადებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული
კანონის 21-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

2019

სარჩევი

შესავალი	2
მეთოდოლოგია.....	5
შესწავლის შედეგები.....	11
დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა.....	12
დროულობა.....	16
ზედმიწევნილობა.....	20
კომპეტენტურობა	27
დაზარალებულის ჩართულობა პროცესში.....	31
დასკვნა.....	33
რეკომენდაციები.....	36

შესავალი

საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიური საპარლამენტო ანგარიშებში ყოველთვის მწვავედ დგას არასათანადო მოპყრობისა გამოძიების ეფექტიანობის ნაკლებობა.¹ ყოველწლიურად წარმოდგენილია რიგი პრობლემებისა, რომლებიც სახალხო დამცველის აპარატის შეფასებით ახლავს გამოძიების პროცესს. პრობლემური ვითარება ასევე წარმოჩენილია არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ ბოლო პერიოდის ანგარიშებშიც.²

სახალხო დამცველის აპარატმა 2015-2018 წლებში ჯამში დაახლოებით 1200-მდე საჩივარი/განცხადება მიიღო, სადაც საუბარი იყო სამართალდამცავების ან/და პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომელთა მიერ ჩადენილ სავარაუდო არასათანადო მოპყრობაზე. აქედან 276 შემთხვევაში სახალხო დამცველის აპარატმა რეაგირებისთვის მიმართა პროკურატურას, ხოლო 42 შემთხვევაში - წინადადებით.³ სხვა განცხადება/საჩივრები ეხებოდა გაჭიანურებულ გამოძიებას ან/და კონკრეტული ინფორმაციის მიღების საჭიროებას გამოძიების მიმდინარეობაზე და შესაბამისად, სახალხო დამცველის აპარატი დაეხმარა განმცხადებელს შესაბამისი ინფორმაციის მიღებაში.

2018 წლის მანძილზე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა პროკურატურაში გააგზავნა 5 წინადადება პოლიციელის მიერ ჩადენილი სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიების დაწყების შესახებ, 2 წინადადება კი ციხის თანამშრომლის მიერ ჩადენილი სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიების დაწყების შესახებ. პროკურატურამ ყველა მათგანზე დაიწყო გამოძიება და ეს პროცესი დღემდე მიმდინარეობს, თუმცა ჯერჯერობით არცერთი პირი არ არის ცნობილი დაზარალებულად ან ბრალდებულად.

¹ სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ.402–426; 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში გვ. 364–376; 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ.81–90, 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ 98-108.

² *inter alia*, სამართალდამცავთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის შემთხვევათა გამოძიების ხარვეზები და მსხვერპლთა სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 2018.

³ სახალხო დამცველი წინადადებით მხოლოდ იმ შემთხვევაში მიმართავს პროკურატურას, თუ მოპოვებული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ანალიზი, აჩენს დასაბუთებულ ეჭვს, რომ კონკრეტული პირის მიმართ განხორციელდა არასათანადო მოპყრობა. ისეთ შემთხვევებში კი, სადაც არ არის საკმარისი მასალები, თუმცა, არსებობს ინფორმაცია შესაძლო არასათანადო მოპყრობის შესახებ, სახალხო დამცველის აპარატი პროკურატურას მიმართავს შემდგომი რეაგირებისთვის.

სავარაუდო არასათანადო მოპყრობის საქმეებზე სახალხო დამცველის მიერ გაგზავნილი წინადადებების რაოდენობა წლების მიხედვით

	2015	2016	2017	2018	ჯამი
პოლიციელთა მიმართ	10	7	10	5	32
ციხის თანამშრომელთა მიმართ	5	3	0	2	10
ჯამი	15	10	10	7	42

აღსანიშნავია, რომ ამ 42-დან არც ერთ ამ შემთხვევაში დამნაშავე არ გამოუვლენია (ბრალი არ წარდგენია) გამოძიებას.

2013 წლის 7 ივლისის შემდეგ, საქართველოს პროკურატურა იყო სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების, ისე სისხლისსამართლებრივ დევნაზე პასუხისმგებელი ერთადერთი ორგანო საქართველოში.⁴ მანამდე შესაბამისი უწყებების საგამომიებო ნაწილები იძიებდნენ ამ კატეგორიის საქმეებს, შედეგად დამნაშავეთა გამოვლენის მაჩვენებელი დაბალი იყო. სამწუხაროდ, პროკურატურისთვის ამ უფლებამოსილების გადაცემის შემდგომ არ შეცვლილა სურათი. სახალხო დამცველის წინადადებების შედეგად გამოვლენილ სავარაუდო ბრალდებულთა მაჩვენებელი კვლავაც ნულოვანია.

2014 წელს საქართველოს სახალხო დამცველის მიერ მომზადდა სპეციალური ანგარიში „სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულების გამოძიების პრაქტიკა, საკანონმდებლო რეგულაციები და ეფექტიანი გამოძიების საერთაშორისო სტანდარტები“. ანგარიშის ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაცია იყო, მომზადებულიყო ცვლილებები და დამატებები საქართველოს შესაბამის საკანონმდებლო აქტებში დამოუკიდებელი საგამომიებო მექანიზმის შესაქმნელად.

საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, ისევე როგორც საერთაშორისო ექსპერტები, აქტიურად აწარმოებდა ადვოკატირებას, რათა შექმნილიყო დამოუკიდებელი საგამომიებო ორგანო, რომლის ფუნქცია იქნებოდა სამართალდამცავთა მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულების გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა. ამ მხრივ აღსანიშნავია კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების ერთიან პოზიციას აჟღერებს ამ თემაზე და ცალსახად ამ

⁴ ამ პერიოდამდე მათ შეეძლოთ გამოძიების თავად წარმოება, მაგრამ ამისთვის აუცილებელი იყო ყოველ ჯერზე ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღება.

მექანიზმის საჭიროებაზე მიუთითებდა.⁵ თომას ჰამერბერგის 2013 წლის ანგარიში⁶, 2017 წლის Human Rights Watch-ის ანგარიში საქართველოზე⁷, ასევე Amnesty International-ის საქართველოს შესახებ 2017–2018 წლების ანგარიშები⁸ - ყველა მათგანი საუბრობს დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის საჭიროებასა და აუცილებლობაზე.

2018 წლის ანგარიშში წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა ყურადღება გაამახვილა ეფექტიანი გამოძიების ხარვეზებზე, მათ შორის იმ გარემოებაზე, რომ თავდაპირველ საგამოძიებო მოქმედებებს ატარებენ იმ სამინისტროების საგამოძიებო სამსახურები, სადაც სავარაუდო დამნაშავე მუშაობს, ხოლო პროკურატურა მოგვიანებით ერთვება მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის ან მედიაში გავრცელების შემდეგ. გარდა ამისა, კომიტეტი მიუთითებს მტკიცებულებათა მოპოვების დაგვიანებაზე, ქმედების კვალიფიკაციის პრობლემაზე (გამოძიება იწყება სსკ-ის 333 მუხლით და არა 144¹-144³ მუხლებით), ციხის ვიდეოკადრების შენახვის მცირე (5-დღიან ვადაზე)⁹ და მიუთითებს მნიშვნელოვანი მტკიცებულების დაცვის საჭიროებაზე; ასევე, სავარაუდო დამნაშავეების სამსახურებრივი მოვალეობისგან ჩამოშორება/შეჩერება არ ხდება და არანაირი ღონისძიება არ ტარდება დაზარალებულთა მიმართ ჩვენების შეცვლის მიზნით იძულებისა და ზეწოლისაგან დასაცავად; მათი ანგარიშის მიხედვით მიუხედავად სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართეებისა, არცერთი სამართალდამცველის ან ციხის თანამშრომლის მიმართ სანქცია არ გამოყენებულა.¹⁰

2018 წლის 21 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ“. საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმა აღნიშნული კანონის მიღებას და შეაფასა როგორც წინ გადადგმული ნაბიჯი არასათანადო მოპყრობის გამოძიების მიმართულებით. მაგრამ სამწუხაროდ იქვე აღინიშნა, რომ იგი ვერ პასუხობს არსებულ გამოწვევებს სრულად.¹¹ ერთ-ერთ მთავარ პრობლემად დასახელდა ის გარემოება, რომ სახელმწიფო ინსპექტორი ვერ გამოიძიებს შინაგან საქმეთა მინისტრისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მიერ ჩადენილ დანაშაულებს. ამასთან, სახელმწიფო ინსპექტორის საქმიანობას შეაფერხებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლი, რომელიც გენერალურ პროკურორს ანიჭებს უფლებამოსილებას საგამოძიებო ქვემდებარეობის მოთხოვნათა დაუცველად ერთი ორგანოდან ამოიღოს საქმე და გადასცეს

⁵ ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < <https://bit.ly/31gkB7Y> > [ბოლოს ნანახია 08.04.2019]

⁶ Thomas Hammarberg, Georgia in Transition - < <https://bit.ly/2kz2fKy> > [ბოლოს ნანახია 08.04.2019] 2013. გვ. 23

⁷ ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < <https://bit.ly/2WuQ7k0> > [ბოლოს ნანახია 08.04.2019]

⁸ ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < <https://bit.ly/2Ww2RGU> > [ბოლოს ნანახია 08.04.2019]

⁹ გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 13 მაისის N403 ბრძანებით, პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული ვიდეო კადრების შენახვის ვადა 30 დღემდე გახანგრძლივდა, თუმცა წესი ამოქმედდება ეტაპობრივად: 2019 წლის 1 ივლისიდან - 2021 წლის 1 იანვრამდე.

¹⁰ იხ. 2019 წლის მაისში გამოქვეყნდა წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში 2018 წლის სექტემბერში განხორციელებული ვიზიტის შედეგების შესახებ. პარ 13-15. < <https://rm.coe.int/1680945eca> > [ბოლოს ნანახია 08.04.2019]

¹¹ ვრცლად ამ საკითხის გარშემო მოცემულია მსჯელობა საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიშში, გვ 85-87.

მეორეს. შესაბამისად, ეს რეგულაცია იძლევა იმის შესაძლებლობას, ნებისმიერი გამოძიება ჩაატაროს იმავე უწყებამ, რომლის წარმომადგენლებიც მხილებულნი არიან სავარაუდო დანაშაულის ჩადენაში. მესამე და მთავარი პრობლემა კი სახელმწიფო ინსპექტორის მიერ ჩატარებულ გამოძიებაზე საქართველოს პროკურატურისთვის საპროცესო ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობის ფუნქციის შენარჩუნებაში მდგომარეობს.

გამომდინარე იქიდან, რომ წლების განმავლობაში არასათანადო მოპყრობის გამოძიება პრობლემურია და არ იცვლება დინამიკა, აუცილებლად მივიჩნით ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში გავცნობოდიტ გარკვეულ სისხლის სამართლის საქმეებს და არსებული პრობლემებისა და გამოწვევების შესახებ უფრო კონკრეტული ინფორმაცია შეგვეგროვებინა და გავცენო საზოგადოებისთვის. **წინამდებარე კვლევის მიზანია, წარმოაჩინოს ის კონკრეტული ხარვეზები, რომლებიც არსებობს სამართალდამცავთა და პენიტენციური სისტემის თანამშრომელთა მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების პროცესში.**

ჩვენი მოსაზრებით, ჯეროვნად და ადამიანის უფლებების სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად წარმართული გამოძიება არის სახელმწიფო ორგანოების ეფექტური ანგარიშვალდებულების საწინდარი. ეს არის დამატებით კარგი საშუალება იმისა, რომ ყველა კითხვას გაეცეს პასუხი და ადამიანის უფლებების დარღვევის კუთხით არ არსებობდეს გარკვეული ეჭვები საზოგადოებაში და უშუალოდ სავარაუდოდ დაზარალებულ პირთა შორის. ამავდროულად, ეფექტიანი გამოძიება მნიშვნელოვანია თავად სამართალდამცავთა რეპუტაციისა და მათი სამართლებრივი ინტერესის დასაცავად, რადგან ყოველი არაჯეროვანი, არასრულყოფილი გამოძიება აჩენს ეჭვებს და შესაბამისად ამცირებს მათდამი ნდობას.

გამოძიების ეფექტიანობის შეფასებისას ჩვენ მხედველობაში ვიღებთ იმასაც, რომ ბუნებრივია ყველა შემთხვევა ვერ დასრულდება დამნაშავის გამოვლენით. ეფექტიანი გამოძიების ვალდებულება არ არის მხოლოდ შედეგის დადგომის ვალდებულება, არამედ, იგი გულისხმობს ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობას.¹²

იმედს ვიტოვებთ აღნიშნული კვლევა იქნება კარგი საშუალება საქართველოს გენერალური პროკურატურისთვის და სამომავლოდ სახელმწიფო ინსპექტორის აპარატისთვის, რათა სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემთხვევების გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა წარიმართოს ეფექტიანად.

მეთოდოლოგია

ამ ანგარიშში ტერმინი „არასათანადო მოპყრობა“ მოიცავს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას, როგორც ეს განმარტებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის

¹² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე *Barabanshchikov v. Russia*, პ 54.

წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ კონვენციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკით.¹³

ანგარიშის შესწავლის საგანია არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიების ეფექტიანობის შეფასება:

- კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეების არსებითი შესწავლით;
- შესწავლილ საქმეებში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებათა შედეგებით ეფექტიანი გამოძიების დადგენილ სტანდარტებთან¹⁴.

წარმოდგენილი ანგარიში შემოიფარგლება კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის შედეგებით, რომლებზეც შეწყვეტილი იყო გამოძიება 2017 წლის ბოლომდე. „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით სახალხო დამცველს, სამწუხაროდ, არ აქვს წვდომა სისხლის სამართლის იმ საქმეთა მასალებზე, რომლებზეც მიმდინარეობს გამოძიება, აღნიშნულის გათვალისწინებით მიმდინარე საქმეების შესწავლა, საჭიროების მიუხედავად, ვერ განხორციელდა.¹⁵

აპარატმა ჯამში შეისწავლა 38 დასრულებული სისხლის სამართლის საქმე. ამათგან 18 არის ის შეწყვეტილი საქმე, რომლებზეც გამოძიება დაიწყო სახალხო დამცველის მოთხოვნით 2013–2017 წლებში, ხოლო დანარჩენი 20 კი ის საქმეებია, რომლებზეც გამოძიება დაიწყო თავად საგამოძიებო უწყებამ, სახალხო დამცველის მიმართვის გარეშე, სხვადასხვა წლებში და წარმოება შეწყვიტა 2017 წელს (იხ. დიაგრამა #1).

საქმის მასალებს სახალხო დამცველის წარმომადგენლები გაეცნენ პროკურატურის ტერიტორიულ ერთეულებში. შეწყვეტილი საქმეები რეგიონებისა და თბილისის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. დიაგრამა #2 და დიაგრამა #3):

- **18 შეწყვეტილ საქმეთაგან, რომლებზეც სახალხო დამცველის მოთხოვნით დაიწყო გამოძიება, 7 საქმეზე გამოძიებას აწარმოებდა ქ. თბილისის პროკურატურა; 7 საქმეზე – მთავარი პროკურატურა; 2 საქმეზე – ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურა; 1**

¹³ Debra Long, 'Guide to Jurisprudence on Torture and Ill-treatment, Article 3 of the European Convention for the Protection of Human Rights', Association for the Prevention of Torture, 2002, p 26-27 ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < https://www.ap.torture.org/content/files_res/Article3_en.pdf > [ბოლოს ნანახია 08.04.2019].


¹⁴ Eric Svanidze, 'Effective Investigation of Ill-Treatment', CoE, 2014, 2nd Edition. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < <https://rm.coe.int/16806f11a3> > [ბოლოს ნანახია 08.04.2019].

¹⁵ რამდენადაც აღნიშნული შემზღვეველი დებულება სახალხო დამცველისთვის წარმოადგენს კონსტიტუციური მანდატის ეფექტიანი შესრულების დაბრკოლებას, 2018 წლის ნოემბერში სახალხო დამცველმა მიმართა საკანონმდებლო წინადადებით საქართველოს პარლამენტს და მოითხოვა არასათანადო მოპყრობის და სიცოცხლის უფლების ხელყოფასთან დაკავშირებული დანაშაულების მიმდინარე გამოძიების მასალებზე წვდომა. აღნიშნულ წინადადებას მხარი არ დაუჭირა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა.


საქმეზე – თბილისის, ისანი–სამგორის რაიონული პროკურატურა; 1 საქმეზე – ქუთაისის რაიონული პროკურატურა;

- 20 შეწყვეტილ საქმეთაგან, რომლებზეც თავად პროკურატურამ დაიწყო გამოძიება, 7 საქმეზე გამოძიებას აწარმოებდა ქ. თბილისის პროკურატურა; 4 საქმეზე – აჭარის ა/რ პროკურატურა; 4 საქმეზე – სამეგრელო–ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურა; 2 საქმეზე – დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურა; 2 საქმეზე – ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურა; 1 საქმეზე შიდა ქართლისა და მცხეთა მთიანეთს საოლქო პროკურატურა.


დიაგრამა #1



დიაგრამა #2



დიაგრამა #3



გამოძიების ეფექტიანობის შეფასებისას ვიხელმძღვანელოთ იმ კრიტერიუმებით, რომლებიც ეფუძნება ეფექტიანი გამოძიების საერთაშორისო სტანდარტებს. გამოძიების ეფექტიანობას ვაფასებთ რამდენიმე მიმართულებით:

- **დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა** - ის პირები ვინც გამოძიებაში არიან ჩართულნი და გადაწყვეტილების მიმღებნი, არ შეიძლება იყვნენ იგივე სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენლები, რომელთა საქმიანობის გამოძიებაც ხდება. ეს ეხება ასევე იმ პირებს, რომლებიც ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებებში იღებენ მონაწილეობას¹⁶, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებს¹⁷ და ზედამხედველ პროკურორებს¹⁸. დამოუკიდებლობის შეფასებისას მხედველობაში მიიღება პრაქტიკული ასპექტი და არამხოლოდ იერარქიული ან ინსტიტუციური კავშირები.¹⁹ ის პირები, ვინც გამოძიებაზე არიან პასუხისმგებელნი, უნდა იყვნენ მიუკერძოებელნი.²⁰ ისინი არ უნდა იყვნენ სავარაუდო დაზარალებულის წინააღმდეგ მიმართულ გამოძიებაში ჩართულნი.²¹
- **დროულობა** - გამოძიება და შემდგომი სამართალწარმოებები უნდა წარიმართოს დროულად და გონივრულად სწრაფად. ამ შემთხვევაში ყურადღება ექცევა იმ ფაქტს, თუ რა ვადაში მოხდა რეაგირება, ასევე იმას, თუ რა პერიოდში მოხდება საჩივარზე რეაგირება, როდის იწყება გამოძიება და ჩატარდება გამოკითხვები.²² ასევე ყურადღება ექცევა იმას, თუ როდის ტარდება სამედიცინო შემოწმება და ექსპერტიზა.²³
- **ზედმიწვენიობა** - არასათანადო მოპყრობის გამოძიებისას უნდა გადაიდგას ყველა გონივრული ნაბიჯი სავარაუდო ფაქტის გამოსაძიებლად. სამართალდამცავებმა უნდა გააკეთონ ყველაფერი საჭირო მტკიცებულებების შესაგროვებლად, მათ შორის, აუცილებელია ჩატარდეს სავარაუდო დაზარალებულის გამოკითხვა, შეგროვდეს თვითმხილველთა ჩვენებები, საექსპერტო მტკიცებულებები და სადაც შესაძლებელია სამედიცინო ჩანაწერები, რომლებიც აღწერენ მდგომარეობას და ასევე დაზიანების მიზეზებს.²⁴ როცა დაზარალებული აცხადებს, რომ მას შეუძლია დამნაშავის ამოცნობა,

¹⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება *Mikheev v. Russia*, პ 116 - შეეხებოდა იმ პირებს, რომლებიც მოწმის მოყვანის საპროცესო მოქმედებაში იყვნენ ჩართულნი.

¹⁷ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი უნდა იყოს ფორმალურად და ფაქტობრივად დამოუკიდებელი - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე *Barabanshchikov v. Russia*, პ 62.

¹⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე *Ramsaha and Others v. Netherlands*, პ 62-3.

¹⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Altun v. Turkey*, პ 74.

²⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 19 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე *Toteva v. Bulgaria*, პ 63.

²¹ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ვიზიტი ალბანეთში, 2005 წლის 23 მაისიდან 3 ივნისამდე, CPT/Inf (2006) 24, პ 50.

²² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება *Mikheev v. Russia*, პ 109.

²³ იქვე. პ 113.

²⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Bati and others v. Turkey*, პ 134.

უნდა ჩატარდეს შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები, მათ შორის, ამოცნობები.²⁵ აუცილებელია ყველა იმ პირის ჩვენების მიღება, ვისაც შეიძლება ინციდენტის შესახებ ინფორმაცია ჰქონდა.²⁶ ინფორმაცია ზედმიწევნით უნდა შეფასდეს და უნდა მოხდეს მისი ურთიერთშედარება, ასევე მტკიცებულებების სანდოობა უნდა შეფასდეს და უნდა დასტურდებოდეს რატომ მიენიჭა უპირატესობა ერთ ჩვენებას და არა მეორეს.²⁷

- **კომპეტენტურობა** - საგამოძიებო ორგანოებს უნდა ჰქონდეთ კომპეტენცია და შესაძლებლობა დაადგინონ ფაქტები და დასაჯონ შესაბამისი პასუხისმგებელი პირები.²⁸ საგამოძიებო ორგანოებს უნდა შეეძლოთ სავარაუდო პასუხისმგებელი პირების უფლებამოსილების შეჩერების მოთხოვნა.²⁹ ამ მიმართულებით სტამბოლის პროტოკოლი დამატებით მოითხოვს იმას, რომ გატარდეს გარკვეული ღონისძიებები სავარაუდო დაზარალებულის დასაცავად, მის დასარწმუნებლად, რომ პროცესში იყოს აქტიურად ჩართული.³⁰
- **დაზარალებულის ჩართულობა პროცესში** - არასათანადო მოპყრობის გამოძიება აუცილებლად საჭიროებს შესაბამისი დონის გამჭვირვალობას და საზოგადოებრივ ანგარიშვალდებულებას. ამ მიმართებით სავარაუდო დაზარალებულის პროცესში ჩართულობა საკმარისი გარანტიაა.³¹ ამ უკანასკნელს უნდა შეეძლოს პროცესში კონკრეტული ნაბიჯების გადადგმის მოთხოვნა და ასევე, იურიდიული დახმარების შესაძლებლობა უნდა არსებობდეს, რათა საგამოძიებო ორგანოთა მოქმედებების და უმოქმედობების გასაჩივრების შესაძლებლობა არსებობდეს.³² სავარაუდო დაზარალებულს უნდა ჰქონდეს საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობა.³³

²⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *Labita v. Italy*, პ 72.

²⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Grimalovs v. Latvia*, პ 115.

²⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე *Barabanshchikov v. Russia*, პ 46.

²⁸ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის საქმიანობის მე-14 ზოგადი ანგარიში, CPT/Inf (2004) 28, პ 34.

²⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Koutropoulos v. Greece*, პ 54.

³⁰ სტამბოლის პროტოკოლი, პუნქტი 80.

³¹ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის საქმიანობის მე-14 ზოგადი ანგარიში, CPT/Inf (2004) 28, პ 36.


³² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *Ognyanova and Choban v. Bulgaria*, პ 115.

³³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *Khadisov and Tsechoyev v. Russia*, პ 122.

შესწავლის შედეგები

სახალხო დამცველის აპარატმა ჯამში შეისწავლა 38 დასრულებული სისხლის სამართლის საქმე. 38 საქმიდან 23 საქმე ეხებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან ჩადენილ სავარაუდო არასათანადო მოპყრობას, 1 - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის თანამშრომლების მხრიდან შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტს, 13 საქმე - პენიტენციური სისტემის თანამშრომლების, ხოლო 1 შემთხვევაში - პრეტენზიები მიემართებოდა როგორც პოლიციელებს (შსს), ისე პენიტენციური სისტემის თანამშრომლებს (იხ. დიაგრამა #4).

დიაგრამა #4



გამოიკვეთა ზოგადი და არა სპეციალურით მუხლით კვალიფიკაციის მრავალი შემთხვევა. მთელ რიგ საქმეებში გამოვლინდა დაგვიანებით ჩატარებული, ჩაუტარებელი ან უხარისხოდ ჩატარებული საგამომიებო მოქმედებები. სავარაუდო მსხვერპლის ჩართულობა გამოძიების პროცესში ფაქტობრივად არ ვლინდება. გამოძიება არ სთავაზობს მსხვერპლს უსაფრთხოების ისეთ ღონისძიებებს, რომელიც იქნება გამოძიებასთან სრულფასოვნად თანამშრომლობის სტიმულატორი. ასევე მრავალ შემთხვევაში გამოძიებამ არ სცადა ნეიტრალური და ობიექტური მტკიცებულებების მოპოვება.

ყველა შესწავლილი სისხლის სამართლის საქმე შეწყდა შესაძლო დამნაშავე პირის პასუხისგებაში მიცემის გარეშე. არც ერთ საქმეში სავარაუდო მსხვერპლი არ იყო დაზარალებულად ცნობილი.

უნდა აღინიშნოს საქმეთა შესწავლის შედეგად გამოვლენილი დადებითი ტენდენციებიც. კერძოდ, 2016 წლიდან მყარ ტენდენციად იქცა ის, რომ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტებს აღარ იძიებენ იგივე უწყებები, რომელთა მიმართაც არსებობს არასათანადო მოპყრობის ბრალდებები და გამოძიებას აწარმოებს პროკურატურა. შესაძლო არასათანადო მოპყრობის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ პროკურატურა სწრაფად რეაგირებს და გამოძიებას იწყებს დროულად. დადებითად შეიძლება შეფასდეს ისიც, რომ არც ერთ იმ საქმეში, სადაც არსებობდა პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ჩადენილი დანაშაულის ვარაუდი, ექსპერტიზა არ ჩატარებულა თავად შინაგან საქმეთა სამინისტროში. ბოლო პერიოდში (2017-2018 წწ.) შედარებით გაუმჯობესდა სპეციალური მუხლებით კვალიფიკაციის შემთხვევები.³⁴ პენიტენციურ სისტემაში ვიდუო ჩანაწერების დაარქივების ვადის გაზრდამ 120 საათამდე³⁵ ხელი შეუწყო პენიტენციურ სისტემაში მომხდარი სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე ვიდუო ჩანაწერების მოპოვებას.

წარმოგიდგენთ შესწავლილი საქმეების შედეგად გამოვლენილ ძირითად ტენდენციებს ეფექტიანი გამოძიების სტანდარტის ელემენტების შესაბამისად.

დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა

სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმეთა ანალიზმა გამოძიების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ჭრილში აჩვენა, რომ ძირითად შემთხვევებში გამოძიებას იწყებს და შემდგომშიც სრულად აწარმოებს მხოლოდ პროკურატურა. ასეთი იყო 38-დან 28 საქმე. თუმცა, 10 საქმეში გამოვლინდა შემდეგი სახის ხარვეზები:

³⁴ ამ პრაქტიკას მოწმობს სახალხო დამცველის აპარატის წარმოებაში არსებული ის საქმეებიც, რომლებიც ამ კვლევის მიზნებისთვის არ ყოფილა შესწავლილი.

³⁵ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის N35 ბრძანება, მუხ. 15, მე-2 პუნქტი.

- 1 საქმეზე გამოძიება დაიწყო პროკურატურამ, თუმცა, იმავე დღეს, შემდგომი გამოძიების მიზნით, საქმე გადაეცა შსს გენერალურ ინსპექციას. მაშინ როდესაც, თავად შსს თანამშრომლები იმხილებოდნენ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტში

2014 წლის 01 ივლისს გამოძიება დაიწყო³⁶ საქართველოს მთავარი პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტში, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. იმავე დღეს, საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილის დადგენილებით, მოცემული სისხლის სამართლის საქმე გამოსადიებლად გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას. დადგენილებაში მითითებულია: საქმეზე სწრაფი, სრულყოფილი, ეფექტიანი და ყოველმხრივი გამოძიების უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია საქმე გამოსადიებლად გადაეცეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას.

2014 წლის 26 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა მთავარ პროკურორს ეფექტიანი გამოძიების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით (მათ შორის, მოთხოვნილი იყო, ინსტიტუციური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით, საქმის პროკურატურისთვის გამოსადიებლად გადაცემა). 2015 წლის 30 იანვრის მთავარი პროკურორის მოადგილის დადგენილებით, საქმე გამოსადიებლად გადაეცა თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს. თუმცა, მოცემულ საქმეზე ყველა საგამოძიებო მოქმედება უკვე ჩატარებული ჰქონდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას. მას შემდეგ, რაც საქმე გამოსადიებლად გადაეცა თბილისის პროკურატურას, ფაქტობრივად არცერთი მოქმედება არ ჩატარებულა.

- 5 საქმეში გამოძიება დაიწყო იმ უწყებამ, რომლის თანამშრომლები იმხილებოდნენ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის განხორციელებაში და მხოლოდ მოგვიანებით გადაეცა პროკურატურას გამოძიების გაგრძელების მიზნით

სიტუაცია N1. ერთ-ერთ საქმეზე³⁷ გამოძიების უმეტესი ნაწილი ჩატარდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ და მხოლოდ დასკვნით ეტაპზე გადაეცა ქვემო ქართლის პროკურატურას. მიუხედავად იმისა, რომ საქმე ეხებოდა ციხეში პატიმრის გარდაცვალების ფაქტს და სავარაუდო დამნაშავე პირები პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლები იყვნენ.

გამოძიება დაიწყო 2016 წლის 15 აგვისტოს. 2016 წლის 19 სექტემბერს საქართველოს მთავარ პროკურორს მიმართა საქართველოს სახალხო დამცველმა და წარუდგინა მოწვეული დამოუკიდებელი ექსპერტის საექსპერტო შეფასება.

საექსპერტო მოსაზრების გათვალისწინებით, სახალხო დამცველი მიუთითებდა, რომ სავარაუდოდ სახეზე იყო პატიმრის მიმართ განხორციელებული სამსახურებრივი გულგრილობა, მისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურების მხრივ. მიუხედავად ამისა, გამოძიება მაინც განაგრძო სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა და საქმე ქვემო ქართლის საოლქო

³⁶ სისხლის სამართლის N074010714801 საქმე, 2014 წლის ფაქტი.

³⁷ სისხლის სამართლის N073150816002 საქმე, 2016 წლის ფაქტი.

პროკურატურას გადაეცა მხოლოდ 2017 წლის 7 ივლისს. რა დროსაც სასჯელაღსრულების საგამოძიებო დეპარტამენტს უკვე ჩატარებული ჰქონდა ყველა ძირითადი საგამოძიებო მოქმედება: მოწმეების გამოკითხვა, შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ექსპერტიზა, ვიდეო ჩანაწერების ამოღება.

სიტუაცია N2. იყო შემთხვევა³⁸, როდესაც გამოძიება კვლავ დაინტერესებულმა უწყებამ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა - დაიწყო, ხოლო მოგვიანებით სახალხო დამცველის მოთხოვნით გადაეცა პროკურატურას. თუმცა, პროკურატურამ ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება დაავალა ისევ დაინტერესებულ უწყებას - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს. კერძოდ, ამ საქმეში, პატიმრის მიმართ 2015 წლის 28 ივლისს დაიწყო გამოძიება სავარაუდო თვითდაზიანების ფაქტზე სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში (მიუხედავად იმისა, რომ პატიმრები მიუთითებდნენ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე). იმავე წლის 30 ივლისს სახალხო დამცველის წინადადების შემდეგ, საქმე გადაკვალიფიცირდა და გამოძიება გაგრძელდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^ფ მუხლის პირველი ნაწილით. ამ საქმეში საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება პროკურატურის გამომძიებლებთან ერთად დაევალა, ასევე, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებელს.

სიტუაცია N3. საქმეში³⁹ არსებული მტკიცებულების შესაბამისად, N7 დაწესებულებიდან გაიგზავნა შეტყობინება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში 2014 წლის 29 მარტს მსჯავრდებულ გ.ო.-ს დაზიანებებით შესახლების თაობაზე, რომლის წარმომავლობაზეც პატიმარი მიუთითებს N8 დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან ცემის ფაქტს. ამავე დღეს, შედგენილია სხეულის გარეგნული დაზიანების შესახებ ოქმი, სადაც პატიმარს აღენიშნება ცხვირის არეში მიღებული დაზიანებები, რომლის შესახებ გამოძიება დაიწყო სასჯელაღსრულების საგამოძიებო დეპარტამენტში.

ამ საქმეზე ეფექტიანი გამოძიების მოთხოვნით, მოგვიანებით, სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს და მხოლოდ ამ მიმართვის შემდეგ, 2014 წლის 18 აპრილიდან, საქმეზე გამოძიება აწარმოა პროკურატურამ.

სიტუაცია N4. ერთ შემთხვევაში⁴⁰ გამოძიება მხოლოდ მოგვიანებით გამოიყო და წარიმართა ცალკე, დაინტერესებული უწყების წარმომადგენელში არსებული გამოძიებიდან, სადაც ძირითადი საგამოძიებო მოქმედებები აღნიშნულ უწყებას უკვე ჩატარებული ჰქონდა და ისინი მტკიცებულებებზე დაერთო ცალკე გამოყოფილ საქმეს. საქმე ეხებოდა პატიმრის მიმართ სავარაუდოდ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობას და დაინტერესებულ უწყებად ამ შემთხვევაში განიხილება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო ნაწილი. კერძოდ, 2014 წლის 12 ნოემბერს დაიწყო გამოძიება გ.ბ.-ის მიერ პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებზე თავდასხმის ფაქტზე. იმავე წლის 26 დეკემბერს, პროკურორის დადგენილებით, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის წარმომადგენელში არსებული სისხლის სამართლის საქმიდან (გ.ბ.-ის მიერ დაწესებულების თანამშრომლებზე თავდასხმის ფაქტი - სსკ-ის 378 მუხლის პირველი ნაწილით) ცალკე წარმომადგენელს გამოიყო საქმე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^ფ მუხლით. გამოყოფილი საქმე მართალია

³⁸ სისხლის სამართლის N0732807001 საქმე, 2015 წლის ფაქტი.

³⁹ სისხლის სამართლის N074180414803 საქმე, 2014 წლის ფაქტი.

⁴⁰ სისხლის სამართლის N073261214001 საქმე, 2014 წლის ფაქტი.

პროკურატურამ აწარმოა, თუმცა, 2014 წლის 12 ნოემბრიდან 26 დეკემბრამდე მსჯავრდებულის მიმართ წარმოებული საქმის ფარგლებში ჩატარდა ყველა ძირითადი საგამოძიებო მოქმედება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ და საქმის მასალებად დაერთო გ.ბ.-ს მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის გამოძიების მასალებს.

სიტუაცია N5. გამოვლინდა ისეთი შემთხვევა⁴¹, როდესაც საქმეზე გამოძიება ორ უწყებას შორის იგზავნებოდა სხვა და სხვა დროს გამოძიების წარმართვის მიზნით და საბოლოოდ, საგამოძიებო მოქმედებების ძირითადი ნაწილი ჩატარებული აღმოჩნდა დაინტერესებულ უწყების - შსს - მიერ. კერძოდ, 2013 წლის 2 იანვარს N8 პენიტენციურ დაწესებულებაში შეასახლეს ბრალდებული, რომელიც გარეგნულად შეამოწმა ექიმმა. ბრალდებულს სხეულზე აღენიშნებოდა დაზიანებები. ვინაიდან, პენიტენციურ დაწესებულებაში, კონფიდენციალურობის პრინციპის დარღვევით, სამედიცინო შემოწმების პროცესს ესწრებოდა თავად დამკავებელი პოლიციელიც, ბრალდებულმა მიუთითა, რომ დაზიანებები მიიღო დაკავებამდე. ამის შემდეგ, 8 იანვარს, ექიმმა კვლავ განახორციელა პატიმრის სხეულის გარეგნული დათვალიერება და აღწერა დაზიანებები, რა დროსაც პატიმარმა მიუთითა, რომ დაზიანებები მიიღო პოლიციისგან. 3 დღიანი დაგვიანებით, 11 იანვარს დაწესებულებამ ფაქტის შესახებ აცნობა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს. 11 იანვარსვე, პროკურატურამ შემდგომი გამოძიების მიზნით საქმე გადასცა შსს-ს. შსს გორის რაიონულ სამმართველოში გამოძიება დაიწყო 2013 წლის 1 თებერვალს. გამოძიებას 2013 წლის 12 მარტამდე, ერთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, აწარმოებდა შსს - უწყება, რომლის თანამშრომლების მიმართაც ჰქონდა პატიმარს პრეტენზიები სავარაუდო არასათანადო მოპყრობაზე. 2013 წლის 12 მარტიდან საქმეზე გამოძიება გააგრძელა შიდა ქართლისა და მცხეთა მთიანეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო სამსახურმა, ხელახლა ჩატარდა გარკვეული საგამოძიებო მოქმედებები, კერძოდ, გამოიკითხნენ პატრულის თანამშრომლები, თუმცა, უშედეგოდ. მოწმეებმა გაიმეორეს ის ჩვენებები, რომელიც უკვე მოიპოვებოდა შსს-ს მიერ წარმოებულ საქმის მასალებში. პატიმარი გ.კ. პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლდა 2013 წლის 22 იანვარს. ამ პერიოდში მისი გამოკითხვა არ მომხდარა. გამოძიების მიერ მოგვიანებით მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით, გ.კ. გარდაიცვალა 2014 წლის 03 ივლისს და აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს სს საქმის გამოძიება 115-ე მუხლით, ხოლო მისი გათავისუფლებიდან გარდაცვალებამდე არ მომხდარა მისი გამოკითხვა, რისი მიზეზიც საქმეში მითითებული არ არის.

- **1 საქმეში საწყისსავე მომენტში გამოძიება არ დაწყებულა. იმავე უწყებაში - შინაგან საქმეთა სამინისტროში - დაიწყო მხოლოდ სამსახურებრივი მოკვლევა**

მოქალაქე აცხადებდა, რომ მის სახლში ყოფნის დროს პოლიციელებმა მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, კერძოდ დააგდეს ძირს და ურტყამდნენ ფეხებს, ასევე, ცემეს დედამისსაც. განმცხადებელმა მიმართა როგორც შსს გენერალურ ინსპექციას, ისე მთავარ პროკურატურას 2017 წლის 24 აპრილს. მიუხედავად ამისა, თავდაპირველად დაიწყო მხოლოდ სამსახურებრივი შემოწმება შსს გენერალურ ინსპექციაში. ხოლო მოგვიანებით, შსს-ს გენერალური ინსპექციის 2017 წლის 18 მაისის მიმართვის საფუძველზე, 2017 წლის 19 ივნისს გამოძიება დაიწყო პროკურატურამ და საქმეში ჩაიღო გენერალური ინსპექციის მოკვლევის მასალები.⁴²

⁴¹ სისხლის სამართლის N011010213005 საქმე, 2013 წლის ფაქტი.

⁴² სისხლის სამართლის N010190617802 საქმე, 2017 წლის ფაქტი.

- 1 შემთხვევაში⁴³ მართალია გამოძიება ოფიციალურად თავიდანვე პროკურატურამ დაიწყო, თუმცა, მხოლოდ მას შემდეგ, რაც შსს-ს გამომძიებელი, არაფორმალური წარმოების პროცესში, გაესაუბრა სავარაუდო მსხვერპლს და მოიპოვა სხვა მტკიცებულებებიც. საქმე ეხებოდა შსს თანამშრომლების მხრიდან სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტს
- 2 შემთხვევაში⁴⁴ ფაქტი ეხებოდა პენიტენციურ დაწესებულებებში ჩადენილ სავარაუდო არასათანადო მოპყრობას. ამ საქმეებში ძირითადი საგამომძიებო მოქმედებები ჩატარა პროკურატურამ, თუმცა, ორივე საქმეში გარკვეული საგამომძიებო მოქმედებების ჩატარება პროკურატურამ დაავალა თავად დაინტერესებულ უწყებას - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამომძიებო სამსახურს
- 1 საქმე⁴⁵ თავიდან ბოლომდე აწარმოა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის საგამომძიებო დეპარტამენტმა და არც ერთ ეტაპზე არ გადასცემია პროკურატურას გამოძიების მიზნით

ნიმანდობლივია, რომ ამ საქმეზე, სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიების წარმოების წინადადებით პროკურატურას მიმართა საქართველოს სახალხო დამცველმა, თუმცა, სახალხო დამცველის წინადადების მიუხედავად, პროკურატურამ იგი არ გაიზიარა ასევე საქმეს არ მინიჭებია შესაბამისი კვალიფიკაცია, რომელიც არასათანადო მოპყრობის რელევანტური იქნებოდა (გამომძიება დაიწყო და გაგრძელდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე მუხლის პირველი ნაწილით)

დროულობა

დროულობის კომპონენტი ეფექტიანი გამოძიების მიზნებისთვის გულისხმობს გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყების აუცილებლობას. შესწავლილი 38 საქმიდან 12 შემთხვევაში გამოძიება მართლაც დაიწყო დაუყოვნებლივ. 15 შემთხვევაში გამოძიება დაიწყო 1 ან 2 დღის დაგვიანებით, რაც შეიძლება არ წარმოადგენდეს განსაკუთრებულად დამაზიანებელ ფაქტორს ეფექტიანი გამოძიებისთვის, თუმცა, ამის მიღმა დაფიქსირდა შემდეგი პრობლემები (იხ. დიაგრამა #5):

- **11 ფაქტზე გამოძიება დაიწყო არაგონივრული გაჭიანურებით**

38 საქმიდან 11 შემთხვევაში გამოვლინდა გამოძიების დაწყების დაგვიანება რამდენიმე დღით და რიგ შემთხვევებში თვეებითაც კი. კერძოდ, ეს ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც საგამომძიებო უწყებამ იცოდა პირის მიმართ განხორციელებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესახებ, თუმცა, პროკურატურამ გამოძიების დაწყება არაგონივრული ვადით


⁴³ სისხლის სამართლის N010110517801 საქმე, 2017 წლის ფაქტი.

⁴⁴ სისხლის სამართლის N074080916803 საქმე - 2016 წლის ფაქტი და სისხლის სამართლის N0732807001 საქმე - 2015 წლის ფაქტი.

⁴⁵ სისხლის სამართლის N073091014002 საქმე - 2014 წლის ფაქტი.

გააჭიანურა. მაგ., ერთ შემთხვევაში გამოძიება დაიწყო 3 თვისა და 7 დღის შემდეგ⁴⁶; ერთ-ერთ შემთხვევაში გამოძიება დაიწყო ფაქტიდან 2 თვისა და 18 დღის შემდეგ⁴⁷; მესამე საქმეში - 1 თვის და 25 დღის შემდეგ⁴⁸; მეოთხე საქმეში - მიუხედავად სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესახებ სახალხო დამცველის წინადადების არსებობისა, გამოძიების დაწყება [ძირითადი საქმიდან საქმის გამოყოფა] ამ მიმართულებით დაგვიანდა 1 თვითა და 8 დღით.⁴⁹

დიაგრამა #5



- 15 საქმეში დაფიქსირდა საგამოძიებო მოქმედებების არსებითი გაჭიანურებით ჩატარების პრობლემა

ცხადია, თითოეული საქმის გამოძიების პროცესში გამოძიების მწარმოებელ პირებს აქვთ ინდივიდუალური მიდგომა, სტრატეგია, ტაქტიკა და ტექნიკა. შეუძლებელია ყველა საქმის იდენტურად გამოძიება, ვინაიდან გამოძიების პროცესი დინამიურია და თავად გამოძიების მწარმოებელი პირი განსაზღვრავს პრიორიტეტულად ჩასატარებელ და შემხვედრ საგამოძიებო მოქმედებებს. თუმცა, ხსენებული 38 საქმის შესწავლის პროცესში გამოვლინდა ისეთი საკვანძო საგამოძიებო მოქმედებების დაგვიანებით ჩატარების ფაქტები, რამაც

⁴⁶ სისხლის სამართლის N010040214801 საქმე, 2013 წლის ფაქტი.
⁴⁷ სისხლის სამართლის N010250817802 საქმე, 2017 წლის ფაქტი.
⁴⁸ სისხლის სამართლის N010190617802 საქმე, 2017 წლის ფაქტი.
⁴⁹ სისხლის სამართლის N073261214001 საქმე, 2014 წლის ფაქტი.

შესაძლოა არსებითი ნეგატიური გავლენა იქონია საქმის გამოძიების შედეგებზე, და რომელთა დაგვიანებით ჩატარების ლეგიტიმური მიზნისა თუ მიზეზის ახსნა თავად საქმის მასალების შესწავლის შედეგად შეუძლებელია. გამოვლინდა შემთხვევებიც, როდესაც უკვე დაწყებულ გამოძიებაზე საგამოძიებო მოქმედებები პრაქტიკულად მხოლოდ მას შემდეგ ჩატარდა, რაც სახალხო დამცველმა მიმართა პროკურატურას გამოძიების დაწყების წინადადებით. მაგალითად, მსხვერპლის, მოწმეებისა და სავარაუდო დამნაშავეების გამოკითხვა.⁵⁰

არასათანადო მოპყრობის საქმეთა გამოძიება, დანაშაულის ბუნებიდან გამომდინარე, უნდა ჩატარდეს მყისიერად, მტკიცებულებათა განადგურების, მოწმეებისა და დაზარალებულების მიმართ ზეწოლის თავიდან აცილების გამო, რომ ამ უკანასკნელმა არ გამოიწვიოს საქმეზე დამახინჯებული ინფორმაციის მოპოვება. მაგალითად, თუ პირი არის თავისუფლებადკვეთილი, პენიტენციურ დაწესებულებაში დაექვემდებარა სავარაუდო არასათანადო მოპყრობას და არ მოხდა მისი შემჭიდროვებულ ვადებში გამოკითხვა ან/და მის მიმართ უსაფრთხოების ღონისძიების გატარება, ის შესაძლოა გახდეს სავარაუდო დამნაშავე პირების მხრიდან დამატებითი ზეწოლისა და დაშინების მსხვერპლი, რის გამოც აღარ ითანამშრომლოს გამოძიებასთან და არ მიაწოდოს რეალური ინფორმაცია.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნეიტრალური მტკიცებულებების⁵¹ მოპოვებას, მათ შორის, საქმის ობიექტური გამოძიების მიზნებისთვის განსაკუთრებული ღირებულების მატარებელია ვიდეო ჩანაწერები და ექსპერტიზის დასკვნა. ამრიგად, ლოგიკურია, რომ გამოძიების მწარმოებელი პირის უპირველესი ამოცანა, სწორედ, ამ მტკიცებულებების მოპოვების მიზნით საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება უნდა იყოს.

სამწუხაროდ, საქმეთა შესწავლისას გამოვლინდა თვეებითა და ცალკეულ შემთხვევაში წლებით დაგვიანებული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების პრობლემა.

საილუსტრაციოდ წარმოგიდგენთ შემდეგ შემთხვევებს:

სიტუაცია N1. გამოვლინდა შემთხვევა⁵², როდესაც არა მხოლოდ დაგვიანებით დაიწყო გამოძიება – 2015 წლის 30 მარტს შევიდა შეტყობინება და გამოძიება დაიწყო 10 აპრილს – არამედ, რეალური საგამოძიებო მოქმედება არ ჩატარებულა 6 თვის განმავლობაში – 2015 წლის 10 ოქტომბრამდე, ანუ იმ დრომდე სანამ არ გაიგზავნა სახალხო დამცველის წინადადება გამოძიების დაწყების შესახებ, 2015 წლის 29 სექტემბერს. იყო შემთხვევა⁵³, როდესაც თავდაპირველად რამდენიმე დღიანი ინტერვალებით ჩატარდა საგამოძიებო მოქმედებები, თუმცა შემდეგ, დაახლოებით 1 წლის განმავლობაში არანაირი საგამოძიებო მოქმედება არ ჩატარებულა. მოგვიანებით ჩატარდა რამდენიმე საგამოძიებო მოქმედება, რის შემდეგაც გამოძიება ისევ დაახლოებით 1 წლის მანძილზე გაჩერებული იყო.

⁵⁰ მაგ., სისხლის სამართლის N041300315801 საქმე, 2015 წლის ფაქტი.

⁵¹ ნეიტრალურია ისეთი მტკიცებულება, რომელიც გამორიცხავს მიკერძოების ან სუბიექტურობის ყოველგვარ ელემენტს და ობიექტურად ადასტურებს ან უარყოფს ფაქტის არსებობას.

⁵² სისხლის სამართლის N041300315801 საქმე, 2015 წლის ფაქტი.

⁵³ სისხლის სამართლის N074150415801 საქმე, 2015 წლის ფაქტი.

სიტუაცია N2. საინტერესოა ერთი შემთხვევა, როდესაც შსს-ს წარმოებაში არსებული კონკრეტული პირის ბრალდების საქმეზე საგამოძიებო მოქმედებები 2017 წლის 14-17 იანვრამდე ინტერვალში ყოველდღიურ რეჟიმში ჩატარდა, თუმცა, განსხვავებით ამ საქმისგან, ცალკე წარმოებად გამოყოფილი საქმის ფარგლებში (სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე) პროცესი საკმაოდ შენელებული იყო: რამდენიმე დღეში ჩატარდა მხოლოდ 1 საგამოძიებო მოქმედება, რის შემდეგადაც 2 თვის ინტერვალში გამოიკითხნენ მხოლოდ პოლიციელები. საქმე შეეხებოდა პოლიციელების მხრიდან სავარაუდოდ ცეცხლსასროლი იარაღით უფლებამოსილების გადამეტების ფაქტს.⁵⁴

სიტუაცია N3. პოლიციელების დაგვიანებით გამოკითხვა დაფიქსირდა ასევე სხვა შემთხვევაშიც, სადაც პოლიციელები იმხილებოდნენ არასათანადო მოპყრობაში. კერძოდ, სავარაუდო მსხვერპლის გამოკითხვის, მის მიმართ სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნის და სამედიცინო დოკუმენტების მიღების შემდეგ, პოლიციელთა გამოკითხვამდე გასულია 1 წელი. ამ დროის შუალედში არ ჩატარებულა არცერთი საგამოძიებო მოქმედება.⁵⁵

- გამოვლინდა ექსპერტიზასთან დაკავშირებული ხარვეზებიც, რაც გამოიხატა გამოძიების არაჯეროვანი ქმედებების გამო ექსპერტიზის ჩატარების შეუძლებლობაში და ექსპერტიზის დაგვიანებით დანიშვნაში, რის გამოც სავარაუდო არასათანადო მოპყრობის კვალის გაქრობისა და ხარისხის შემცირების რისკები გაჩნდა

სიტუაცია N1. გამოვლინდა შემთხვევა, სადაც საგამოძიებო მოქმედებები 10 და 29 დღიანი ინტერვალებით ჩატარდა, თუმცა, მათ შორის შედარებით პრობლემური აღმოჩნდა სავარაუდო მსხვერპლის გამოკითხვის დაგვიანებით ჩატარება. გამოძიება 2017 წლის 08 ნოემბერს დაიწყო, თავად სავარაუდო მსხვერპლი, 27 დეკემბერს გამოიკითხა, რადგან მან საქართველო 12 ნოემბერს დატოვა. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია საქმეში მისი ძმის მ.ფ. - ს 14 ნოემბრის გამოკითხვის ოქმიდან ხდება ცნობილი. მნიშვნელოვანი იყო საგამოძიებო ორგანოს ნ.ფ. გამოძიების დაწყებიდან მოკლე დროში გამოკითხვა. გამოძიების დაწყებიდან საზღვარგარეთ გამგზავრებამდე 4 დღე სრულიად საკმარისი პერიოდია პირის გამოკითხვისთვის. აღსანიშნავია, რომ საქმეში არ ფიქსირდება საგამოძიებო ორგანოს მცდელობა მისი გამოკითხვაზე მოწვევის თაობაზე. საბოლოოდ, გამოძიების მხრიდან სავარაუდო მსხვერპლის გამოკითხვის არაგონივრულმა გაჭიანურებამ, დაზიანებებზე მსხვერპლის პირადი შემოწმებით ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობაც გამოირიცხა.⁵⁶

სიტუაცია N2. მოქალაქე აცხადებდა, რომ მის სახლში ყოფნის დროს პოლიციელებმა მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, კერძოდ დააგდეს ძირს და ურტყამდნენ ფეხებს, ასევე, ცემეს დედამისსაც. დედა ადასტურებდა ფიზიკური ძალადობის ფაქტს. განმცხადებელმა მიმართა როგორც შსს გენერალურ ინსპექციას, ისე მთავარ პროკურატურას 2017 წლის 24 აპრილს. გამოძიება დაიწყო 2017 წლის 19 ივნისს, თითქმის ორთვიანი დაგვიანებით, რითიც აზრი დაეკარგა დაზიანებების აღმოჩენის მიზნით ექსპერტიზის ჩატარების მცდელობას და ექსპერტიზა არც დანიშნულა.⁵⁷

სიტუაცია N3. კიდევ ერთ საქმეში, რომელზეც გამოძიება სახალხო დამცველის წინადადების საფუძველზე დაიწყო, ექსპერტიზა დაინიშნა დაგვიანებით. სახალხო დამცველმა 2014 წლის 16 აპრილს

⁵⁴ სისხლის სამართლის N088170117901 საქმე, 2017 წლის ფაქტი.

⁵⁵ სისხლის სამართლის N010130716804 საქმე, 2016 წლის ფაქტი.

⁵⁶ სისხლის სამართლის N083081117801 საქმე, 2017 წლის ფაქტი.

⁵⁷ სისხლის სამართლის N010190617802 საქმე, 2017 წლის ფაქტი.

მიმართა პროკურატურას და მიუთითა, რომ პატიმარს 7 აპრილს მიაყენეს სავარაუდო ფიზიკური შეურაცხყოფა N8 პენიტენციურ დაწესებულებაში. წინადადების საფუძველზე გამოძიება დაიწყო 18 აპრილს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის განხორციელების დღიდან გასული იყო საკმაოდ დიდი დრო და კრიტიკულად აუცილებელი იყო ექსპერტიზის დროული ჩატარება, რათა არ წაშლილიყო დანაშაულის სავარაუდო კვალი, ექსპერტიზა დაინიშნა მხოლოდ 22 აპრილს (4 დღის შემდეგ). ექსპერტიზის დროულმა არ ჩატარებამ გააჩინა რისკი არასათანადო მოპყრობის კვალის გაქრობის ან/და დაზიანებების ხარისხის შემცირების.⁵⁸

ზედმიწვევითობა

გამოძიების ზედმიწვევითობის კომპონენტის შეფასებისას გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები:

- გამოძიებისას ყველა შესაძლო საგამოძიებო მოქმედება არ ტარდება. ძირითადად ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებია - გამოკითხვა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა სავარაუდო მსხვერპლის დაზიანების ხარისხის დასადგენად
- დაფიქსირდა ზედაპირული და არასრულყოფილი გამოკითხვის პრობლემა. რიგ შემთხვევებში არ არის დასმული მნიშვნელოვანი შეკითხვები და არ არის გამოკითხული ყველა შესაძლო პირი. ხშირ შემთხვევებში, პოლიციელების ან შესაბამისი ციხის თანამშრომლების მიერ მიწოდებული ინფორმაცია არ არის გადამოწმებული სხვა ნეიტრალური მტკიცებულებებით ან არ არის მცდელობა, რომ იგი შეივსოს უფრო ობიექტური წყაროებით

სიტუაცია N1. ერთ შემთხვევაში⁵⁹ საპატრულო პოლიციის თანამშრომლების გამოკითხვისას არ დაუსვამთ შეკითხვები, არის თუ არა აღჭურვილი სამსახურებრივი მანქანა ვიდუო კამერით, ჰქონდათ თუ არა მათ სამხრე კამერები და ხორციელდებოდა თუ არა ვიდუო გადაღება.

სიტუაცია N2. რამდენიმე შემთხვევაში არ არის გამოკითხული ყველა პოლიციელი, რომელსაც შეიძლება ინფორმაცია ჰქონოდა ფაქტთან დაკავშირებით. ⁶⁰

სიტუაცია N3. ერთ შემთხვევაში⁶¹ არასათანადო მოპყრობის ფაქტთან დაკავშირებით თავად სახალხო დამცველის რწმუნებულები აძლევდნენ პროკურატურას ჩვენებას, თუმცა, საგამოძიებო უწყების ძირითადი ინტერესი არ შეეხებოდა პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან პატიმრებზე ფიზიკურ ძალადობას, ძირითადი შეკითხვები მიემართებოდა აპარატის სტრუქტურისა და იერარქიის საკითხებს, საქმისწარმოების წესებს.

სიტუაცია N4. ერთ-ერთი პატიმარი აცხადებდა, რომ ეტაპირების დაწყებამდე მის მიმართ ბადრაგის თანამშრომლებმა განხორციელეს არასათანადო მოპყრობა და უთითებდა ფაქტის შემსწრე მოწმეზე. გამომძიებელი მოწმეს შეხვდა გასაუბრების მიზნით, რა დროსაც გამომძიებლის მიერ შედგენილი

⁵⁸ სისხლის სამართლის N074180414801 საქმე, 2014 წლის ფაქტი.

⁵⁹ სისხლის სამართლის N083081117801 საქმე, 2017 წლის ფაქტი.

⁶⁰ მაგ., სისხლის სამართლის N010040214801 საქმე, 2013 წლის ფაქტი.

⁶¹ სისხლის სამართლის N073121114004 საქმე, 2014 წლის ფაქტი.

ოქმიდან ირკვევა, რომ მოწმე იყო არაფხიზელ მდგომარეობაში, რის გამოც ვერ გამოვიტოხა. ამასთან, გამომძიებელმა საქმეს დაურთო მოწმის სამედიცინო ბარათი, სადაც მითითებულია გასტროენტეროლოგიური გამოკვლევები, თუმცა რა კავშირშია საქმესთან ეს დოკუმენტი არ ჩანს. ასევე, სხვა დროს არ ყოფილა აღნიშნული მოწმის გამოკითხვის მცდელობა, მიუხედავად იმისა, რომ სავარაუდოდ იგი ერთ-ერთი მთავარი მოწმე უნდა ყოფილიყო.⁶²

- გამოკითხვასთან დაკავშირებით დაფიქსირდა საინტერესო ტენდენცია, რომ არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლები არაერთ შემთხვევაში გადათქვამენ მათ მიმართ ჩადენილ არასათანადო მოპყრობის შესახებ ინფორმაციას და უთითებენ დაზიანებების მიღების სრულიად სხვა წყაროს – წაქცევის შედეგად ან დაკავებამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც არ არის დაზიანების ფიზიკური კვალი, აცხადებენ, რომ აღელვების ნიადაგზე დააფიქსირეს პრეტენზია. ამ შემთხვევაში, ობიექტური დამკვირვებლისთვის საინტერესო ხდება ის გარემოება, თუ რამ განაპირობა პრეტენზიის გადათქმა: ნამდვილად აღელვებამ ან იმ სხვა მოტივმა, რომელსაც უთითებენ, თუ ეს ან „მორიგების“ ან რაიმე უკანონო ზემოქმედების შედეგია⁶³
- არც ერთ საქმეში არ ჩატარებულა ამოცნობა, მიუხედავად იმისა, ამოცნობის შესაძლებლობაზე მიუთითებდა ნეიტრალური მოწმე (მაგ., ისეთი როგორიცაა სახალხო დამცველის რწმუნებული) თუ მსხვერპლი

სიტუაცია N1. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე⁶⁴ გამოძიება მიმდინარეობდა სახალხო დამცველის წინადადების საფუძველზე. საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, N8 პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრის მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტს შეესწრო სახალხო დამცველის ორი რწმუნებული - სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელი და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი - ექსპერტი. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელი უშუალოდ ფიზიკური ძალადობის ფაქტის შემსწრე არ გახლდათ, ხოლო ექსპერტი გამოკითხვისას აცხადებდა, რომ უშუალოდ დაინახა პატიმრის ცემის ფაქტი, ასახელებდა ერთ-ერთ მოქმედ პირს, ხოლო დანარჩენებზე მიუთითებდა, რომ შეეძლო მათი ამოცნობა. მიუხედავად ამისა, სავარაუდოდ უწყებას ექსპერტის მონაწილეობით ამოცნობა არ ჩატარებია.

სიტუაცია N2. მეორე საქმეში⁶⁵ მსხვერპლი მიუთითებდა, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანამდე მის მიმართ განხორციელდა არასათანადო მოპყრობა. მიუთითებდა, რომ პოლიციელმა 3-4-ჯერ დაარტყა რკინის გასაღები შუბლის არეში. ტანსაცმელზე სისხლის კვალი ეტყობოდა. ბრალდებულმა აღწერა პოლიციელების გარეგნობა. ასახელებდა 3 პირს. აქედან ერთს ვინაობით მიუთითებდა, ხოლო ორი პოლიციელს აღწერდა ფიზიკურად და აცხადებდა, რომ შეეძლო ამოცნობა. ამის მიუხედავად, ამოცნობა ამ საქმეშიც არ ჩატარებულა.

⁶² სისხლის სამართლის N074180414803 საქმე, 2014 წლის ფაქტი.

⁶³ ამ საკითხთან დაკავშირებით დამატებითი მსჯელობა იხილეთ „კომპეტენტურობის“ ნაწილში.

⁶⁴ სისხლის სამართლის N010271213801 საქმე, 2013 წლის ფაქტი.

⁶⁵ სისხლის სამართლის N004060815801 საქმე, 2015 წლის ფაქტი.

სიტუაცია N3. მესამე შემთხვევაში⁶⁶, მოქალაქის განმარტებით, 2013 წლის 27–28 ოქტომბრის ღამეს, სცემეს პოლიციის თანამშრომლებმა, დაკავებისას, ასევე, დაკავების შემდეგ, როგორც მანქანაში, ასევე, ძველი თბილისის პოლიციის რაიონული სამმართველოს შენობაში. 5 პირი სცემდა და ერთის ამოცნობა შეუძლია. საქმეზე ასევე დაიკითხა მოწმე, რომელმაც განაცხადა, რომ დაინახა როგორ სცემდა ამ პირს რამდენიმე ადამიანი ქუჩაში, რომლებიც როგორც შემდგომში გარკვევა იყვნენ პოლიციელები. ასევე, ცემის ფაქტი დაინახა პოლიციის განყოფილებაშიც და შეუძლია პოლიციელის ამოცნობა. მიუხედავად ამისა, არც მსხვერპლის და არც მოწმის მონაწილეობით ამოცნობა არ ჩატარებულა.

○ იყო შემთხვევები, როდესაც არ მოხდა შემთხვევის ადგილის დათვალიერება

სიტუაცია N1. ერთ-ერთ საქმეზე⁶⁷ გამოძიება დაიწყო 2014 წლის 22 აპრილს, საქათველოს მთავარ პროკურატურაში სახალხო დამცველის წინადადების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც 2014 წლის 12 აპრილს N8 დაწესებულების თანამშრომლებმა და რეჟიმის უფროსმა პატიმარს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა და ემუქრებოდნენ გაუპატიურებით.

2014 წლის 06 მაისს სახალხო დამცველმა კვლავ მიმართა წინადადებით საქართველოს მთავარ პროკურატურას, ვინაიდან პატიმარი რწმუნებულთან შეხვედრის დროს აცხადებდა, რომ აპრილში მასთან შეხვედრაზე მისულ პროკურორთან ერთად იმყოფებოდნენ დაწესებულების დირექტორი და დირექტორის მოადგილეები, შესაბამისად, განიცდიდა ფსიქოლოგიურ ზეწოლას, რაც გახდა მისი მხრიდან ჩვენებაზე უარის თქმის მიზეზი.

ვიდეოჩანაწერების დაარქივებისა და ამოღების მცდელობა საქმეში არ ყოფილა, არ დათვალიერებულა შემთხვევის ადგილი გამომძიებლის მიერ.

სიტუაცია N2. საქმის⁶⁸ მასალების მიხედვით, 2015 წლის 19 მარტს პოლიციის თანამშრომლები გადაადგილდებოდნენ ავტომობილით ქუთაისში, ნიკეას ქუჩაზე, N40 სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, რა დროსაც საგზაო სავალ ნაწილზე მდგომ სამ მოქალაქეს მოუწოდეს გზიდან გადასვლა, რასაც მოჰყვა ურთიერთშელაპარაკება და სსკ-ს 353-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის საფუძველზე მოქალაქეების დაკავება.

იმერეთის დროებითი მოთავსების იზოლატორმა დააფიქსირა დაკავებულების სხეულზე არსებული დაზიანებები. დაკავებულების დაზიანებების შესახებ 2015 წლის 19 მარტს გაგზავნილი იქნა შეტყობინება საქართველოს პროკურატურაში, რომლის მიხედვითაც დაკავებულები აცხადებდნენ, რომ დაზიანებები მიაყენეს პოლიციის თანამშრომლებმა დაკავების დროს (გაგზავნილ იქნა გარეგნული დათვალიერების და დაზიანებების აღწერის ოქმი).

საქმეზე დროულად არ ჩატარებულა ფაქტიურად არცერთი საგამომიებო მოქმედება სამართალდამცავების მხრიდან შესაძლო დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, ხოლო მოწმეთა გამოკითხვა მოხდა ექვსი თვის დაგვიანებით. საქმეში არ არის ვიდეოჩანაწერების მოპოვების მცდელობა, მიუხედავად იმისა, რომ დაკავება მოხდა საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც შესაძლოა არსებობდეს ვიდეოკამერები.

⁶⁶ სისხლის სამართლის N010040214801 საქმე, 2013 წლის ფაქტი.

⁶⁷ სისხლის სამართლის N074220414801 საქმე, 2014 წლის ფაქტი.

⁶⁸ სისხლის სამართლის N041300315801 საქმე, 2015 წლის ფაქტი.

არ ყოფილა შემთხვევის ადგილი დათვალერიებული თუნდაც ვიდეო კამერების ან შესაძლო მოწმეების, შემთხვევის ადგილის აღწერის მიზნით. არ იყო ქუჩის და სკოლის ტერიტორიის მიმდებარე ვიდეო კამერების ჩანაწერის ამოღების მცდელობა.

- ერთ-ერთ საქმეში⁶⁹ არ გადამოწმდა პოლიციელების გადაადგილების მარშუტი სატელეფონო ანძების შესაბამისად

მოქალაქე აცხადებდა, რომ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დახვდნენ ფინანსური პოლიციის თანამშრომლები, რომლებმაც დააყოვნეს რამდენიმე საათი აეროპორტში, შემდეგ მისი ნების საწინააღმდეგოდ წაიყვანეს გაურკვეველი მიმართულებით, რა დროსაც მასზე განახორციელეს ფსიქოლოგიური ზეწოლა. შემდეგ მიიყვანეს ფინანსთა სამინისტროს შენობაში, სადაც ასევე, დააყოვნეს ხანგრძლივი დროით და კვლავ განახორციელეს მასზე ფსიქოლოგიური ძალადობა.

მოქალაქის ნათქვამის სისწორის გადამოწმების მიზნით არ ჩატარებულა პოლიციელების გადაადგილების ტრაექტორიის გადამოწმება სატელეფონო ანძების შესაბამისად.

- იყო შემთხვევები, როცა საქმეზე არ ჩატარდა ჩხრეკა-ამოღება

სიტუაცია N1. ეს საგამოძიებო მოქმედება უნდა ჩატარებულიყო კონკრეტული ნივთების ამოღების მიზნით - გასაღებისა და ხელბორკილის (ბრალდებული აცხადებდა, რომ გასაღები ჩაართვა პოლიციელმა, ხოლო პოლიციელი აცხადებდა, რომ ბრალდებულმა ხელბორკილით მიიყენა თვითდაზიანება). ამ საგნების ამოღების შემდეგ უნდა ჩატარებულიყო მათზე ბიოლოგიური ექსპერტიზა, რათა აღმოჩენილიყო ბრალდებულის დნმ კვალი. ასევე, კომისიური ექსპერტიზა, რათა დადგენილიყო შეიძლება თუ არა ამ ნივთებით მიეღო სხეულზე არსებული დაზიანებები ბრალდებულს. თუმცა, ვინაიდან არ ჩატარდა ჩხრეკა-ამოღება, შემხვედრი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაც შეუძლებელი გახდა.⁷⁰

სიტუაცია N2. ერთ-ერთ საქმეში⁷¹ პატიმარი მიუთითებდა N8 პენიტენციურ დაწესებულებაში თანამშრომლების მხრიდან მის მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობის ფაქტზე, რაც გამოვლინდა შემდეგში: მუცლით იატაკზე იწვა, ფეხი მუხლის სახსარში ჰქონდა მოხრილი და ხელბორკილები მიბმული იყო ე.წ. ფეხბორკილებზე. გასათვალისწინებელია, რომ დაწესებულების თანამშრომლებმა დაკითხვისას დაადასტურეს ხელბორკილისა და ე.წ. ფეხბორკილის ერთობლივი გამოყენების ფაქტი. ასევე, დაწესებულებაში შედგენილ ოქმებში მითითებული იყო ხელბორკილისა და ე.წ. ფეხბორკილის გამოყენების შესახებ, თუმცა, საგამოძიებო ორგანოს ყურადღების მიღმა დარჩა, რომ სპეც.საშუალებების მსგავსი ფორმით (ხელბორკილისა და ე.წ. ფეხბორკილის ერთობლივი გამოყენება/გადაბმა) გამოყენება კანონით არ იყო ნებადართული. შესაბამისად, ამ საგნების აღმოსაჩენად ჩხრეკა-ამოღება არ ჩატარებულა.

- იყო შემთხვევა, როცა საგამოძიებო მოქმედება არ ჩატარდა ჯეროვანი გულისხმიერებით

პროკურატურა საქმეს იძიებდა სახალხო დამცველის წინადადების საფუძველზე. გამოძიებასთან თანამშრომლობდნენ სახალხო დამცველის რწმუნებულები და გამოძიებას აწვდიდნენ ინფორმაციას N8

⁶⁹ სისხლის სამართლის N010230617801 საქმე, 2017 წლის ფაქტი.

⁷⁰ სისხლის სამართლის N004060815801 საქმე, 2015 წლის ფაქტი.

⁷¹ სისხლის სამართლის N073091014002 საქმე, 2014 წლის ფაქტი.

პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტის შესახებ. რწმუნებულები მიუთითებდნენ, რომ გაიგონეს ციხის ადმინისტრაციისა და პატიმრების ჩხუბის ხმა. პარალელურად, ნახეს N8 პენიტენციური დაწესებულების ე.წ. სმარტ ზონის საბაზანოში ორი პატიმარი, სისხლიანები, დაზიანებებით, ნაწილობრივ სველ მდგომარეობაში. მათგან ერთ-ერთი იწვა იატაკზე, ხელ-ფეხი ერთმანეთზე ჰქონდა გადაბმული ხელობრივითა და ე.წ. ფეხბორკლით, ზურგს უკან, მუხლების სახსარში მოხრით. იქვე იყო ციხის ხელმძღვანელობა და სხვა თანამშრომლები.

დაკითხვისას სახალხო დამცველის რწმუნებულებმა ახსნეს, რომ თავად მსგავსი დაბმის ფაქტი ცალკე აღებული უკვე წარმოადგენდა არასათანადო მოპყრობას, რომ არაფერი ვთქვათ დამატებით სავარაუდო ფიზიკურ ძალადობაზე.

საგამოძიებო ორგანო თითქოს დაინტერესდა ხსენებული ე.წ. ფეხბორკლის აღმოჩენით. ჩაატარა სახალხო დამცველის ერთ-ერთი რწმუნებულის მონაწილეობით ჩხრეკა, რა დროსაც გამომძიებლებმა ციხის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობას სთხოვეს მიეთითებინათ ის ადგილი, სადაც შეეძლოთ ჩაეტარებინათ ჩხრეკა. ციხის ადმინისტრაციამ, ბუნებრივია, მიუთითა იმ ადგილზე, სადაც ინახავდნენ მხოლოდ კანონიერ სპეც. საშუალებებს და ცხადია, არ წარუდგინა ე.წ. ფეხბორკილი.

საგამოძიებო ორგანომ საკმარისად მიიჩნია ციხის ადმინისტრაციის მიერ მითითებული, ერთი კონკრეტული კარადის შემოწმება და ჩათვალა, რომ ჩხრეკა N8 პენიტენციურ დაწესებულებაში ჩაატარა სრულყოფილად.⁷²

- 13 საქმეში საგამოძიებო უწყებას შეეძლო მოეპოვებინა რელევანტური ვიდეო ჩანაწერები, რომელიც იქნებოდა საქმისთვის ყველაზე სანდო, ნეიტრალური მტკიცებულება და არ მოიპოვა. არცერთ საქმეში არ ჩანს დოკუმენტი, რომლითაც ამ ვიდეოჩანაწერების მოპოვების სულ მცირე მცდელობას⁷³ დაადასტურებდა. ასევე, არ არიან გამოკითხული ის პირებიც, ვინც მიმდინარე რეჟიმში პასუხისმგებელია ვიდეო კამერების მეთვალყურეობაზე, ე.წ. პულტების ოთახის თანამშრომლები, რომლებსაც შეიძლება ჰქონოდათ დანაშაულთან დაკავშირებული რელევანტური ინფორმაცია და მათი ინფორმაცია ვიდეო ჩანაწერების ფიზიკურად არარსებობის (მაგალითად, წაშლის/დაზიანების) მიუხედავად, გადმოსცემდა ვიდეო ჩანაწერებზე სავარაუდოდ არსებულის იდენტურ ინფორმაციას. საყურადღებოა ვიდეო ჩანაწერების საქმეზე დართვის ტენდენცია და თავად გამოყენების კონტექსტი: ძირითადად ვიდეო ჩანაწერები არ არის მოპოვებული მაშინ, როდესაც ეს შესაძლებელია; მოიპოვება მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც დანაშაული არ ფიქსირდება. ანალოგიურად, ვიდეო ჩანაწერის მოპოვების მცდელობა გვხვდება ისეთ შემთხვევებში მხოლოდ, სადაც არ არის მისი

⁷² სისხლის სამართლის N073121114004 საქმე, 2014 წლის ფაქტი.

⁷³ იმ შემთხვევაში თუ საქმეში იქნებოდა დოკუმენტი (წერილი, მიმართვა, შუამდგომლობა), რომელიც დაგვანახებდა, რომ საგამოძიებო უწყებამ მიმართა შესაბამის სუბიექტს ვიდეო ჩანაწერების მოპოვების მიზნით, თუმცა, ობიექტური მიზეზით ვერ მოხერხდა ჩანაწერების მოპოვება (მაგალითად, ვიდეო კამერის ტექნიკური გაუმართაობის გამო), ნეიტრალური დამკვირვებელი, მათ შორის, სახალხო დამცველი დარწმუნდებოდა, რომ საგამოძიებო უწყებას ჰქონდა ეფექტიანი გამოძიების ჩატარებისა და ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების რეალური სურვილი და მცდელობა, თუმცა, მტკიცებულების მოპოვება გამოძიებისგან დამოუკიდებელი მიზეზით ვერ მოხერხდა. აღნიშნული გამორიცხავდა გამოძიების პასუხისმგებლობას მტკიცებულების მოპოვებლობის ნაწილში.

მოპოვების შესაძლებლობა შემთხვევის ადგილზე ვიდეო თვალის დაუმონტაჟებლობის გამო. ობიექტური დამკვირვებლისთვის ამგვარი სურათი შესაძლოა განპირობებული იყოს გამოძიებაში ზედმიწევნითობის ელემენტის ხელოვნურად შექმნის მოტივით (იხ. დიაგრამა #6).

საილუსტრაციოდ წარმოდგენილია რამდენიმე შემთხვევა:

სიტუაცია N1. ერთ საქმეში⁷⁴ გამოძიება მიმდინარეობდა ანაკლიაში, „ჯემფესტის“ გასართობი ღონისძიების დროს პირის დაკავებისას, მის მიმართ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტზე. პროკურატურამ მიმართა დაცვის პოლიციას დაკავების ადგილიდან ვიდეო ჩანაწერების ამოღების თაობაზე, თუმცა დაცვის პოლიციისგან მიიღო პასუხი ვიდეო კამერების არარსებობის შესახებ. ამის საწინააღმდეგოდ, საყურადღებოა, რომ პროკურატურას იგივე მცდელობა არ ჰქონია დაკავების მიმდებარე ტერიტორიაზე კონკრეტული ორი კაფე-ბარის ვიდეო ჩანაწერების მოპოვების მიზნით.

სიტუაცია N2. ერთ შემთხვევაში⁷⁵, საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ პირის დაკავებისას მის მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტის გამოძიების ფარგლებში პროკურატურას არ მიუმართავს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის საპატრულო პოლიციის ავტომატის ვიდეო კამერის ან პოლიციელების სამხრე კამერების ჩანაწერების მიღების მოთხოვნით, იმ ფონზე, როდესაც არსებობს მაღალი ალბათობა, რომ საპატრულო პოლიცია და პატრულის თანამშრომელი აღჭურვილია ვიდეო და სამხრე ვიდეო კამერებით.

სიტუაცია N3. იყო შემთხვევები, როდესაც არასათანადო მოპყრობის ფაქტი საჯარო ადგილას მოხდა, სადაც მაღალი ალბათობით არსებობს ვიდეო კამერები, მაგრამ არცერთ შემთხვევაში არ ფიქსირდება ვიდეო ჩანაწერის მოპოვების მცდელობა: ერთი შემთხვევა⁷⁶ იყო ქუთაისის საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქუჩაში; მეორე შემთხვევა⁷⁷ იყო თბილისში, ორთაჭალის ავტოსადგურზე, მესამე შემთხვევა⁷⁸ – თბილისის აეროპორტში. არცერთი საქმეში არ ფიქსირდება ვიდეო კამერის ჩანაწერების მოპოვების მცდელობა.

სიტუაცია N4. საპატიმრო დაწესებულებებში ძირითადად არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე ვიდეო ჩანაწერები მოპოვებულია მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც კონკრეტული ჩანაწერი არ ასახავს დანაშაულის ფაქტს, თუმცა, სხვა ანალოგიურ შემთხვევებში, ანუ ისეთ შემთხვევებში, სადაც არსებობს ვიდეო ჩანაწერის არსებობის მაღალი ალბათობა⁷⁹, არ ფიქსირდება მოპოვების მცდელობაც კი. ასეთი დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა. აღსანიშნავია, რომ მათ შორის ერთ-ერთში⁸⁰ ვიდეო ჩანაწერის 199 დისკი იქნა დათვალიერებული და შესწავლილი, სადაც დანაშაულის ფაქტი არ დაფიქსირდა, რაც თავისთავად დადებითად შესაფასებელია. მეორე მხრივ კი, სხვა ანალოგიურ არაერთ შემთხვევაში,

⁷⁴ სისხლის სამართლის N083030817801 საქმე, 2017 წლის ფაქტი.

⁷⁵ სისხლის სამართლის N083081117801 საქმე, 2017 წლის ფაქტი.

⁷⁶ სისხლის სამართლის N041300315801 საქმე, 2015 წლის ფაქტი.

⁷⁷ სისხლის სამართლის N010110817802 საქმე, 2017 წლის ფაქტი.

⁷⁸ სისხლის სამართლის N010230617801 საქმე, 2017 წლის ფაქტი.

⁷⁹ ვიდეო ჩანაწერის არსებობის მაღალი ალბათობა შეიძლება დადგინდეს შემთხვევის ადგილის დათვალიერებითა თუ მოწმის/მსხვერპლის გამოკითხვით, რომლის შედეგადაც გამოძიების მწარმოებელი პირისთვის ცნობილი გახდება, რომ სავარაუდოდ შეიძლება არსებობდეს საქმისთვის რელევანტური ჩანაწერები.


⁸⁰ სისხლის სამართლის N088220917801 საქმე, 2017 წლის ფაქტი.

შესაძლებლობის მიუხედავად, არ იქნა ვიდეო ჩანაწერი მოპოვებული ან არ განხორციელებულა მოპოვების მცდელობა.⁸¹

სიტუაცია N5. ვიდეო ჩანაწერების მოპოვების მცდელობა დაფიქსირდა ისეთ არაერთ შემთხვევაში, როდესაც ვერ იქნა ვიდეო ჩანაწერი მოპოვებული სხვა და სხვა მიზეზის გამო. უმეტესად, ასეთი ტენდენცია გამოიკვეთა საპატიმრო დაწესებულებებში⁸² ვიდეო ჩანაწერის გამოთხოვისას, ან პოლიციის სისტემაში, სადაც სხვადასხვა მიზეზის გამო ვიდეო ჩანაწერი არ არსებობდა. მაგალითად, სასაზღვრო პოლიციის ადმინისტრაციული შენობის და უცხო ქვეყნის მოქალაქეების დაკავების ტერიტორიაზე არსებული ვიდეო კამერების ჩანაწერების დაარქივების-შენახვის მოთხოვნა ერთ საქმეში⁸³ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვერ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ მითითებულ ტერიტორიებზე არ იყო დამონტაჟებული ვიდეო კამერები.

- არც ერთ საქმეში⁸⁴ არ ჩატარებულა ფარული საგამომიებო მოქმედებები, არ შემოწმებულა სატელეფონო ან სხვა ტექნიკური საშუალებებით დამყარებული კომუნიკაციის შინაარსი. შესწავლილი საქმეების ანალიზი ცხადყოფს, რომ მსხვერპლი როგორც წესი, მიუთითებს არასათანადო მოპყრობის ჯგუფურად (პოლიციელების ან/და პენიტენციური სისტემის თანამშრომლების) ჩადენის ფაქტზე ან მინიმუმ დანაშაულის შემსწრე სხვა საჯარო მოხელეებზე. (იხ. დიაგრამა #6).

დიაგრამა #6



- გამოვლინდა სხვა პრობლემური შემთხვევებიც, რამაც ხელი შეუშალა გამოძიების ეფექტიანობას/ზედმიწვევნილობას და რაც განპირობებული იყო კონკრეტული სახელმწიფო უწყებების ქმედებებით:

⁸¹ მაგ., სისხლის სამართლის N010271213801 საქმე - 2013 წლის ფაქტი, სისხლის სამართლის N073121114004 საქმე - 2014 წლის ფაქტი.

⁸² მაგ., სისხლის სამართლის N073261214001 საქმე, 2014 წლის ფაქტი.

⁸³ მაგ., სისხლის სამართლის N0422291117801 საქმე, 2017 წლის ფაქტი.

⁸⁴ იგულისხმება ისეთი საქმეები, რომელზეც კანონმდებლობა იძლეოდა/იძლევა მსგავსი ფარული საგამომიებო მოქმედების ჩატარების შესაძლებლობას.

- დაფიქსირდა შემთხვევა⁸⁵, სადაც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება გაჭიანურდა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დაახლოებით 9 თვის განმავლობაში
- ერთ შემთხვევაში⁸⁶ დაზიანებები, დროებითი მოთავსების იზოლატორში შედგენილი სამედიცინო შემოწმების ოქმში, არ იყო დაფიქსირებული უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე პირის მიერ და ამის გამო, ექსპერტის მხრიდან შეუძლებელი გახდა სხეულის დაზიანების ხარისხის განსაზღვრა
- მესამე შემთხვევაში⁸⁷ გამოძიება დაიწყო დროებითი მოთავსების იზოლატორიდან შესული შეტყობინების საფუძველზე. თუმცა, თავად დმი-მ, გაუგებარი მიზეზით, ერთი კვირის დაგვიანებით გაუგზავნა პროკურატურას ინფორმაცია დაკავებული პირის დაზიანებების შესახებ
- მსგავსი ხარვეზი გამოვლინდა N8 პენიტენციურ დაწესებულებაშიც, როცა ექიმმა პატიმრის დაწესებულებაში შესახლებისას გარეგნული დათვალიერების შედეგად აღმოაჩინა სხეულის მრავლობითი დაზიანებები, რომელზეც პატიმარმა მიუთითა, რომ მიიღო პოლიციისგან. თუმცა, აღნიშნული ინფორმაცია დაწესებულებამ საგამოძიებო უწყებას სამი დღის დაგვიანებით შეატყობინა⁸⁸
- დაფიქსირდა პატიმრისა და ექიმის კომუნიკაციის კონფიდენციალურობის პოლიციის მხრიდან დარღვევის შემთხვევა, რამაც მაღალი ალბათობით გამოიწვია პატიმრის შესაძლებლობა, მიეთითებინა დაზიანებების წარმოშობის რეალური წყარო (პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობა). საქმეში დევს N8 დაწესებულებაში შესახლების დროს ექიმის მიერ ჩატარებული გარეგნული დათვალიერების ოქმი, რომელსაც ესწრებოდა პატიმრის დამკავებელი პოლიციის სამმართველოს თანამშრომელიც. ოქმში აღწერილია პატიმრის დაზიანებები, ხოლო დაზიანებების წარმომავლობაში მითითებულია - დაკავებამდე მიღებული. მოგვიანებით ამ პატიმარმა, აცნობა ექიმს, რომ დაზიანებები პოლიციისგან მიიღო.⁸⁹

კომპეტენტურობა

ამ ჭრილში მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ

- ვერც ერთ საქმეში ვერ ხდება იმის დადგენა თუ ვისი ინიციატივითა და პასუხისმგებლობით ჩატარდა კონკრეტული საგამოძიებო მოქმედება, განსაზღვრა თუ არა გამომძიებელმა დამოუკიდებლად საგამოძიებო სტრატეგია თუ პროკურორის აქტიური ჩართულობით/სავალდებულო მითითებების ფონზე მიმდინარეობდა გამოძიება. შეუძლებელია პროკურორისა და გამომძიებლის მონაწილეობის ხვედრითი

⁸⁵ სისხლის სამართლის N010130716804 საქმე, 2016 წლის ფაქტი.

⁸⁶ სისხლის სამართლის N010130716804 საქმე, 2016 წლის ფაქტი.

⁸⁷ სისხლის სამართლის N010230317801 საქმე, 2017 წლის ფაქტი.

⁸⁸ სისხლის სამართლის N011010213005 საქმე, 2013 წლის ფაქტი.

⁸⁹ იქვე.

წილის განსაზღვრა. არც ერთ საქმეში არ დევს პროკურორის წერილობითი მითითებები ან გამოძიებლის წერილობითი განსხვავებული პოზიცია/საჩივარი ზემდგომი პროკურორის მიმართ უშუალო ზედამხედველი პროკურორის მხრიდან არაჯეროვანი მითითების მიცემის საკითხზე

- გამოიკვეთა ზოგადი მუხლით და არა სპეციალურით კვალიფიკაციის ათეულობით შემთხვევა.⁹⁰ კერძოდ, (38 საქმიდან) 30 საქმეში ფაქტის გამოძიება მიმდინარეობდა სსკ-ის 333-ე მუხლით და არა არასათანადო მოპყრობის სპეციალური მუხლებით⁹¹. მხოლოდ 5 შემთხვევაში მიმდინარეობდა გამოძიება სსკ-ის 144¹ მუხლით. 1 საქმე - 115 მუხლით, 1 საქმე - 118 მუხლით და 1 საქმე - 378 მუხლით (იხ. დიაგრამა #7)
- არც ერთ საქმეში არ მომხდარა მსხვერპლის მიმართ დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება. არც ერთ საქმეში არ მოიპოვება იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ პროკურორმა შესთავაზა და გაარკვია მაინც მსხვერპლის დამოკიდებულება დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების მიმართულებით (იხ. დიაგრამა #8)
- მხოლოდ ერთ საქმეში⁹² გატარდა უსაფრთხოების ღონისძიება, კერძოდ, პროკურატურამ მოითხოვა მსხვერპლი პატიმრების სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე და მოხდა კიდევ პატიმრების ეტაპირება. არც ერთ სხვა შესწავლილ საქმეში არ ფიქსირდება, რომ გატარდა მსგავსი ან სხვა ტიპის უსაფრთხოების ღონისძიება საპატიმრო დაწესებულებაში მყოფი სავარაუდო მსხვერპლის მიმართ მისი ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოებისთვის. მსგავსი უსაფრთხოების ღონისძიების გატარება უზრუნველყოფს საქმეში სავარაუდო მსხვერპლის ჯანსაღ მონაწილეობას და ეფექტიან გამოძიებას, რამდენადაც მისი დაშინება ან მისი სხვაგვარი მანიპულირება არსებითად ზრდის მის მიერ საჩივრის გადათქმის რისკს და ამდენად, გამოძიების პროცესის მნიშვნელოვან შეფერხებას იწვევს. მსხვერპლის ამგვარი პოზიცია კი სხვა მტკიცებულებათა მოპოვების შეფერხებას იწვევს, რაც საბოლოოდ გამოძიების შეწყვეტის ძირითადი სტიმულია (იხ. დიაგრამა #8)
- 12 საქმეში⁹³ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი პატიმრები გამოძიების ეტაპზე იმყოფებოდნენ პენიტენციური სისტემის ისევე იმ თანამშრომლების მეთვალყურეობისა და გავლენის ქვეშ, ვის მიმართაც არსებობდა არასათანადო მოპყრობის შესახებ პრეტენზიები, ხოლო პროკურატურის რაიმე სახის მცდელობა არ ფიქსირდება, დაიცვას სავარაუდო მსხვერპლები, რათა მათ ობიექტურად, გახსნილად ითანამშრომლონ გამოძიებასთან (იხ. დიაგრამა #8)
- ვინაიდან არც ერთ საქმეში არ იყო სისხლისსამართლებრივი დევნა არც ერთი პირის მიმართ დაწყებული, არ მომხდარა მათი/სავარაუდო დანაშაულის ჩამდენი პირების

⁹⁰ ნიშანდობლივია, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის 2017 წლის 25 მაისის N13/34580 წერილის მიხედვით, პროკურატურას შემუშავებული აქვს კვალიფიკაციის შესახებ რეკომენდაცია, რომელიც დღემდე არ არის საჯარო.

⁹¹ სსკ-ის 144¹-144³


⁹² სისხლის სამართლის N0732807001 საქმე, 2015 წლის ფაქტი.

⁹³ აქედან ერთ საქმეში იკვეთება, რომ გამოძიების მიმდინარეობისას, რაღაც ეტაპზე, პატიმარი გადაიყვანეს სხვა დაწესებულებაში, თუმცა, ეს არ მომხდარა საგამოძიებო უწყების მოთხოვნით.

თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 159-ე და სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერება - „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის II ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად (იხ. დიაგრამა #8).


დიაგრამა #7

კვალიფიკაცია



- სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება
- წამება
- თვითმკვლელობამდე მიყვანა
- ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება
- პენიტენციური დაწესებულების საქმიანობისათვის ხელის შეშლა ან/და საქმიანობის დეზორგანიზაცია

დიაგრამა #8



დაზარალებულის ჩართულობა პროცესში

ამ ასპექტის ქვეშ აღსანიშნავია შემდეგი (იხ. დიაგრამა #9):

- 38 საქმიდან არც ერთში მსხვერპლი არ იყო დაზარალებულად ცნობილი

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის⁹⁴ მიხედვით, დაზარალებულად ცნობის დადგენილება პროკურორს გამოაქვს საკუთარი ინიციატივით ან პირის განცხადების საფუძველზე. განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის შემთხვევაში შესაძლებელია ზემდგომი პროკურორისთვის მიმართვა, ხოლო სასამართლოში გასაჩივრება შესაძლებელი იყო მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ფაქტზე გამოძიების მიმდინარეობისას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით (N2/12/1229,1242,1247,1299), დაკმაყოფილდა სარჩელი და საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან და 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) მიმართებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული დებულება, რომელიც ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულების შემთხვევაში დაზარალებულის სტატუსის შესახებ პროკურორის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების უფლებას ზღუდავდა. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ დაზარალებულის სტატუსის მიღებით მსხვერპლს უჩნდება სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას გარკვეული პროცედურული გარანტიები,

⁹⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 56, ნაწ. 5.

აქვს ინფორმაცია საქმის მიმდინარეობის შესახებ და აღჭურვილია ბრალდების მხარის კონტროლის ბერკეტებით.⁹⁵ ამასთან, განაცხადა, რომ თუკი არ იქნება უფლების დარღვევის თავიდან აცილების ან დარღვეული უფლების აღდგენის შესაძლებლობა/სამართლებრივი ბერკეტი, თავად უფლებით სარგებლობა დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ.⁹⁶

ამდენად, დღეის მდგომარეობით, ნებისმიერი კატეგორიის⁹⁷ დანაშაულზე დაზარალებულ პირს შეუძლია მიმართოს პროკურორს სტატუსის მინიჭების მოთხოვნით, უარი გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან, ხოლო ზემდგომი პროკურორის უარი - სასამართლოში.

დაზარალებულის სტატუსის მინიჭების შემდეგ კი მას უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს.⁹⁸

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ამ ეტაპზე არ გამოუკვლევია, თუ რა რაოდენობით გაიზარდა მსხვერპლის დაზარალებულად ცნობის სტატისტიკა სასამართლო ბერკეტის ამოქმედების შემდეგ, თუმცა, იმედოვნებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება პროკურატურისთვის მაპროვოცირებელი იქნება, უკეთ გაიზაროს მსხვერპლისთვის დაზარალებულის სტატუსის დროული მინიჭების მნიშვნელობა და მეტად იქნება ორიენტირებული დაზარალებულის გამოძიების პროცესში ჩართვის მიზანზე.

- მხოლოდ 2 საქმეში მოითხოვა სავარაუდო მსხვერპლმა კონკრეტული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება. აქედან, საგამოძიებო უწყების მხრიდან მოთხოვნა დაკმაყოფილდა 1 შემთხვევაში.

მითითებულ ერთ შემთხვევაში, სავარაუდო მსხვერპლის განცხადებები საგამოძიებო მოქმედებების შესახებ გაზიარებულია, თუმცა, ნაწილობრივ. კერძოდ, თანასაკნელების გამოკითხვის მოთხოვნა გაიზიარა გამოძიებამ და გამოკითხა სავარაუდო მსხვერპლის თანასაკნელები, ხოლო ამოცნობა შესაბამისი პირების, რომელსაც ასევე ითხოვდა სავარაუდო მსხვერპლი, არ გაიზიარა⁹⁹

- დაზარალებულის სტატუსის არარსებობის თანმდევი პრობლემა იყო ის, რომ საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობა თითქმის არცერთ შემთხვევაში არ მიეცა სავარაუდო მსხვერპლს, რამაც მისი მოთხოვნით კონკრეტული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესაძლებლობა პრაქტიკულად გამოირიცხა.

მაგალითად, ერთ საქმეში მსხვერპლმა და მისმა ადვოკატმა ცხრაჯერ მიმართეს განცხადებით პროკურატურას საქმეზე ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნით, რაზეც ყოველ ჯერზე უარი მიიღო.¹⁰⁰ ერთი შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც სავარაუდო მსხვერპლს პროკურორი შეხვდა პენიტენციურ

⁹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება (N2/12/1229,1242,1247,1299), პუნქტ. 23.

⁹⁶ იქვე პუნქტ. 24.

⁹⁷ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 12.


⁹⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 57, ნაწ. 1, ქვეპ. „თ“.

⁹⁹ სისხლის სამართლის N073091014002 საქმე, 2014 წლის ფაქტი.

¹⁰⁰ სისხლის სამართლის N074150415801 საქმე, 2015 წლის ფაქტი.

დაწესებულებაში და შესთავაზა საქმის მასალების გაცნობა. ადვოკატი გაეცნო მასალებს, რაც ფიქსირდება მისი ხელმოწერით.¹⁰¹ მეორე შემთხვევა ასევე დაფიქსირდა, სადაც სავარაუდო მსხვერპლის ადვოკატს გააცნეს საქმის მასალები.¹⁰² ხოლო მესამე შემთხვევაში, საქმე გააცნეს მსხვერპლი პატიმრის ძმას.¹⁰³

დიაგრამა #9



დასკვნა

წინამდებარე სპეციალურმა ანგარიშმა კიდევ ერთხელ ცხადყო ქვეყნის საგამომიებო სისტემის წინაში არსებული ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა აწარმოოს ეფექტიანი გამოძიება არასათანადო მოპყრობის საქმეებზე. წლების განმავლობაში არსებული პრობლემები გამოძიების ეფექტიანობასთან დაკავშირებით, სამწუხაროდ, მნიშვნელოვანწილად კვლავ სახეზეა და აღნიშნული ნამდვილად იწვევს სახალხო დამცველის შემფოთებას.

სწორედ ამიტომ, სახალხო დამცველი დიდი იმედებით ელოდება დამოუკიდებელი საგამომიებო მექანიზმის - სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამომიებო ფუნქციების ამოქმედებას. განვლილმა წლებმა ცხადყო, რომ დამოუკიდებელი საგამომიებო მექანიზმის

¹⁰¹ სისხლის სამართლის N073280715001 საქმე, 2015 წლის ფაქტი.

¹⁰² სისხლის სამართლის N010230317801 საქმე, 2017 წლის ფაქტი.

¹⁰³ სისხლის სამართლის N073150816002 საქმე, 2016 წლის ფაქტი.

ამოქმედების გარეშე ვერ იქნება უზრუნველყოფილი ეფექტიანი გამოძიების წარმოების თაობაზე სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შესრულება.¹⁰⁴

საგულისხმოა, რომ საქართველოს სახალხო დამცველის შენიშვნები¹⁰⁵ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით გაიზიარა წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა¹⁰⁶ და გამოთქვა შეშფოთება, რომ კანონმდებლობით გამოირიცხება სამსახურის მიერ მაღალი თანამდებობის პირების სავარაუდო დანაშაულის გამოძიება, გარდა ამისა, პროკურატურა ინარჩუნებს სრულ კონტროლს გამოძიების პროცესზე, გამოძიების შეწყვეტის დადგენილება იღებს მხოლოდ პროკურორი, რომლის გასაჩივრება შესაძლებელია ზემდგომ პროკურორთან და არა სასამართლოში.

მიგვაჩნია, რომ ეს სპეციალური ანგარიში, პრაქტიკაში იდენტიფიცირებული ხარვეზებითა და შემუშავებული რეკომენდაციებით, პრევენციული დანიშნულების კარგი სახელმძღვანელო იქნება როგორც პროკურატურისთვის, ისე მომავალში - სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის და დაეხმარება საგამოძიებო სტრუქტურებს, გამოძიებაში არსებული პრობლემების გაანალიზებასა და პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით ეფექტური ნაბიჯების გადადგმაში. სახალხო დამცველის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად კი კვლავ დარჩება მსგავსი კატეგორიის საქმეების გამოძიების, არასათანადო მოპყრობის შემთხვევებთან დაკავშირებით სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შესრულების მონიტორინგი.

აუცილებლად მიგვაჩნია საგამოძიებო ორგანოებმა ყურადღება მიაქციონ იმ ხარვეზებს, რომლებიც ამ ანგარიშში იქნა გამოვლენილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია, ზედმიწევნითი გამოძიების წარმოების საჭიროება და ამ მიზნით საგამოძიებო უწყებებმა უნდა:

- ამოიღონ რელევანტური ვიდეო ჩანაწერები ყველა შესაძლებლობისას
- ვიდეო ჩანაწერების მოპოვების შეუძლებლობის შემთხვევაში საქმეში ჩადონ იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ მათ ჰქონდათ ჩანაწერების მოპოვების მცდელობა (მიმართვა, წერილი, შუამდგომლობა); ასევე, ვიდეო ჩანაწერების მოპოვების შეუძლებლობის მიზეზების ამხსნელი დოკუმენტი/ოქმი
- გამოკითხონ ვიდეო მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ვიდეო ჩანაწერების შენახვის ვადა გასულია და ჩანაწერების საქმეზე დართვა შეუძლებელია
- ჩატარდეს ამოცნობა, როცა მსხვერპლი ან მოწმე მიუთითებს სავარაუდო დამნაშავის მაიდენტიფიცირებელ ნიშნებზე

¹⁰⁴ ვინაიდან ამ დრომდე არ არის საკმარისი ფინანსური რესურსები გამოყოფილი, დგას მექანიზმის საგამოძიებო ფუნქციის გადავადების ან არასრულყოფილად ამოქმედების რისკები. შესაბამისად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ამოქმედებისთვის საჭირო ფინანსური რესურსების გამოყოფის უზრუნველყოფის თაობაზე, სახალხო დამცველმა 2019 წლის 10 მაისის N15-5/5275 რეკომენდაციით საქართველოს პრემიერ-მინისტრს მიმართა.

¹⁰⁵ იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 85-87

¹⁰⁶ 2019 წლის მაისში გამოქვეყნდა წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში 2018 წლის სექტემბერში განხორციელებული ვიზიტის შედეგების შესახებ. პარ 13-15. <<https://rm.coe.int/1680945eca>> [ბოლოს ნანახია 08.04.2019]

- შემთხვევის ადგილი დაცულ იქნას დაუყოვნებლივ და ჩატარდეს დათვალიერება
- სავარაუდო დამნაშავე(ებ)ის გადაადგილების მარშრუტის დადგენის მიზნით გადამოწმებულ იქნას სატელეფონო ანძები, როცა ეს რელევანტურია საქმის ფაქტობრივი გარემოებებისთვის
- ჩატარდეს რელევანტური ფარული საგამომიებო მოქმედებები
- ყველა საჭიროებისას ჩატარდეს სრულყოფილი ჩხრეკა-ამოღება
- ყველა ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვების მცდელობა იქნას გამოყენებული
- მოწმეები გამოიკითხონ ყოველმხრივ და სრულყოფილად
- იმ შემთხვევაში თუ მსხვერპლი გადათქვამს არასათანადო მოპყრობის შესახებ პრეტენზიას, გამოყენებულ იქნას ყველა ხერხი, რათა დადგინდეს ხომ არ იყო მის მიმართ უკანონო ქმედებები/ზეწოლა, მუქარა, რამაც გამოიწვია პოზიციის შეცვლა

გარდა აღნიშნულისა, მიგვაჩნია, რომ გამოძიებამ უნდა დააკმაყოფილოს კომპეტენტურობის მოთხოვნები, ეფექტური გამოძიების თვალსაზრისით და გადადგას შემდეგი ნაბიჯები:

- საქმეთა კვალიფიკაცია მოხდეს სპეციალური მუხლებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად
- პროკურატურის მითითებები საგამომიებო მოქმედებების ჩატარებასთან ან/და საგამომიებო ტაქტიკის განსაზღვრის მიზნით იყოს წერილობითი და დაერთოს საქმეს
- პროკურატურამ, მსხვერპლის პოზიციის მხედველობაში მიღებით, იმსჯელოს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხზე ყველა არასათანადო მოპყრობის საქმეში
- ყველა საქმეში, სადაც მსხვერპლი პატიმარია, საგამომიებო ორგანომ იმსჯელოს უსაფრთხოების ღონისძიების გატარებასთან დაკავშირებით და ყველა რელევანტურ შემთხვევაში მიმართოს სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს
- სავარაუდო დამნაშავე პირები იყვნენ თანამდებობიდან გადაყენებული/შეუჩერდეთ უფლებამოსილება ან მოხდეს მათი მსხვერპლისგან დისტანცირება, რათა მსხვერპლი აღარ იყოს დამნაშავის ეფექტური კონტროლის ქვეშ

ყოველივე ზემოაღნიშნული იქნება კარგი საშუალება, რომ არასათანადო მოპყრობის საქმეების გამოძიება წარიმართოს ეფექტიანად და თავიდან ავიცილოთ ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევები.

ანგარიშში გამოვლენილი ზემოაღნიშნული ხარვეზების გარდა, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ აუცილებელია გარკვეული საკითხების ინსტიტუციური გადაწყვეტა. ამ მიზნით, წარმოდგენილია შესაბამისი რეკომენდაციები. მათი შესრულება და სამომავლო იმპლემენტაცია, შექმნის უკეთეს მარეგულირებელ ჩარჩოს და გამორიცხავს სამომავლო ადამიანის უფლებათა დარღვევებს არასათანადო მოპყრობის გამოძიების პროცესში.

რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტს:

- საკანონმდებლო დონეზე გაიმიჯნოს გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციები;
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში შევიდეს იმგვარი ცვლილება, რომელიც გამორიცხავს საქართველოს გენერალური პროკურორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ იმის შესაძლებლობას, საგამომიებო ქვემდებარეობის მიუხედავად, ერთი საგამომიებო ორგანოდან ამოიღოს საქმე და ინსტიტუციური დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევით, საქმე გამოსამიებლად გადასცეს სხვა საგამომიებო ორგანოს
- ცვლილება შევიდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტში, რომლის მიხედვითაც გამოირიცხება პროკურორის უფლებამოსილება გამოძიებისას კონკრეტული საგამომიებო მოქმედებების ჩატარება დაავალოს იმ საგამომიებო უწყებას, რომლის თანამშრომლის მიმართაც არსებობს არასათანადო მოპყრობის ჩადენის ეჭვი
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში გაიწეროს პროკურორის მიერ მსხვერპლი პატიმრის მიმართ გამოსაყენებელი უსაფრთხოების ღონისძიებების სახეები, გამოყენების საფუძვლები და პროცედურები

გენერალურ პროკურატურას:

- გენერალურმა პროკურატურამ¹⁰⁷ შეიმუშაოს მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება პროცესის მონიტორინგი/გამომიების დროულობის შემოწმება და გაჭიანურებული გამოძიების შემთხვევებში პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება
- პროკურატურის მიერ შემუშავებული კვალიფიკაციის შესახებ რეკომენდაცია, რომელიც არ არის საჯარო, წარედგინოს სახალხო დამცველის აპარატს

¹⁰⁷ ასევე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა, საგამომიებო ფუნქციების ამოქმედების შემდეგ.